№ 192 1877—1905 № 192

შაბათი, 29 ოქტომბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას ძვირფასისა და საყვარელის შვილის ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტის

ალექსანდრე |საშა| გრიგოლის ძე

კლდიაშვილისას

რომელიც მოკლულ იქმნა ოდესაში 20 ოქტომბერს, და სთხოვს მობრძანდნენ კვირას, 30 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, აწჩინხატის ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შინაურულის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა.

(20—10)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (გერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრავოტი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ქ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანახოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ჩ. ი. ბძოლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

სალამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

გ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე კ. ახალშენიშვილი

ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 სუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

ვძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და სღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

კვირას, 30 ოქტომბერს,

დილის 10 საათზე, ნაძალადევში

დანიშნულია

სახალხო მიტინგი

შესახებ გურიის ეხლანდელ მდგომარეობისა

მუშათა ორგანიზაცია.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

შაბათს, 29 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქმნება

რიგოლეტტო

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი პროკუდინა, რუდინა, ფერრარი, ზასლავსკაია; ბ-ნნი: კოლოტოვი, სოკოლსკი, ტომაშევიჩი, ვოლსკი, დემიანენკო, დემიდოვი, მეინი.

ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.

სამხედრო ორკესტრი კავკასიის 1-ლ საპიორთა ბატალიონისა ბ-ნ რიხნერის ხელმძღვანელობით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირიჟორი ი. პ. ფალიაშვილი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

მოწყობების ბილეთები უოგლ დღე იყიდება „ლოკასიოსის“ კასსაში, საღამოს 7¾ საათიდან.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: კვირას, 30 ოქტომბერს, წარმოდ. იქნება

პიკოვაია დამა,

ოპერა 3 მოქ. და 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

სამშაბათს, 1 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება

ნერონი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა რუბინშტეინისა.

მზადდება წარმოსადგენად ახალი ოპერა „ზაზა“, მუსიკა ლეონკოვალოსი.

ბილეთები იყიდება.

კანონი და კანონიერება

—

ამ უკანასკნელ დღეებში გახშირდა, მკითხველო.. იცით, რა? ჩივილი მთავრობისა. დიაღ, მთავრობა სჩივის,—სჩივის, რომ... ხალხი, საზოგადოება არ წყნარდება, რომ მღელვარება არ სცხრება, კანონიერება არა მყარდება და სხვადასხვა. ოფიციალურ განცხადებით იწვევს ხალხს,—კანონიერის გრძნობით გაიმსჭვალოს და მშვიდობიან ცხოვრებას ხელი მიჰყოს.

ამგვარ მოწოდებებს სთხზავს—და, აი, ეს არის საკვირველება—სწორედ ის ბიუროკრატია, რომელიც მუდამ უარმყოფელი იყო ყოველ გვარ კანონიერებისა, რომელიც მუდამ ძალითა და თვითნებობით ხელმძღვანელობდა, ყოველგვარ ადამიანურ უფლებასა და თავისუფლებას ფეხით სთელავდა, მთელს საზოგადოებას ყაზარმის სალდათებსავით კამანდრობდა და სიტყვის შემბრუნებელს განუკითხავად არბევდა და აწიოკებდა. კანონიერებას ურჩევს და უქადაგებს ხალხს ის მთავრობა, რომელიც დღესაც, უმაღლეს მანიფესტის გამოცხადებისა და მოქალაქობრივ უფლებათა აღიარების შემდეგ, შტიკისა და კაზაკების მათრახის ძალაზე ეყრდნობა. მთავრობა გულგრილად შესცქერის, თუ როგორ აწიოკებს ხალხს ეგზეკუცია, როგორ სძარცვავენ კაზაკები მოქალაქეებს, როგორ იკლებს სამხედრო ძალა კერძო სახლებს. არ არის განკითხვა ბრალისა და მართლისა, არ არის გამოძიება და ჭეშმარიტების გამოაშკარავება. უფლებრივ სახელმწიფოებში დანაშაულს,—თუ რომ დანაშაული მოხდება,—იკვლევს სასამართლო, მოქალაქე პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე; ჩვენში კი კაზაკთა რაზმია მოსამართლეც და სასჯელის აღმასრულებელიც. აქ განჩინებაც სწრაფად ხდება და მისი სისრულეში მოყვანაც. თოფი, ხმალი, მათრახი—აი, ის იარაღი, რომელიც კაზაკთა ხელში არ ინდობს არც დიდს და არც პატარას, არც ქალსა და არც ბავშვს.

ასე იყო ეს წინად, ასეა დღესაც. და ამ დროს მთავრობა კანონიერებაზე ლაპარაკობს და დაწყნარებას თხოულობს. მაგრამ განა შეიძლება კანონიერების გრძნობა და შემეცნება შემუშავდეს და განვითარდეს იქ, სადაც ადმინისტრატიული თვითნებობაა გამეფებული? როგორა სცეს ხალხმა პატივი იმ კანონს, რომლის დაწყება მისთვის არავის უკითხავს და აღსრულებასაც არავინ ჰკითხავს? მთელის საუკუნის განმავლობაში ბიუროკრატია ხალხს უკანონობისა და ძალმომრეობის მაგალითებს აძლევდა, ამ მაგალითებით ჰკვებავდა და ზრდიდა და იმავე დროს კი სიტყვით კანონიერებას უქადაგებდა.

მართალია, ჩვენში ისე არ არის კანონიერების გრძნობა და შეგნება განვითარებული, როგორც, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში. მაგრამ ეს ფაქტი იმას არ ამტკიცებს, რომ თვითონ მთავრობა კანონიერების მცველი და აღმსრულებელი იყვეს. ევროპის დღევანდელი ხალხი თავის შემეცნებით შვილია თავისუფალი წესწყობილებისა; იქ იგი სცნობს კანონს და ემორჩილება მას, რადგან ეს კანონი მისივე დადგენილი და შემუშავებულია, და იმ შემთხვევაშიაც, როცა ესა თუ ის კანონი მას არ მოსწონს და მის შეცვლას ცდილობს, შეცვლამდის ყოველთვის სავალდებულოდ სთვლის თავისთვის მის აღსრულებას. თავისუფალი პოლიტიკური წყობილება დიადი აღმზრდელი სკოლაა, და რა გასაკვირველია, რომ ამ სკოლაში გამოვლილი ხალხი მონობაში აღზრდილ ხალხზე უფრო შეგნებული და „კანონიერი“ იყოს!..

ჩვენში თვითონ მთავრობა არ ასრულებს იმ კანონებს, რომლებსაც სხვებისთვის სავალდებულოდ აცხადებს. თვითონ ეს მთავრობა, რომელიც ხელმწიფის ყოველ სიტყვას თავისთვის კანონად სთვლის, დღეს ხელმწიფის მანიფესტს გვერდს უხვევს და ამ მანიფესტის სავალდებულო ძალას უარჰყოფს. მანიფესტის გამოცხადება მას ხელს არ უშლის ისევე ძველებურად იპარპაშოს და ხალხს მუხრუჭი მოუჭიროს!

და ამ დროს იგი იმავე ხალხს ისე გულუბრყვილოდ სთვლის, რომ კანონიერებას ასწავლის და სიწყნარეს ურჩევს!

არა, კანონიერების გრძნობა მხოლოდ კანონიერს სახელმწიფო წესწყობილებაში განვითარდება და ამიტომ მთავრობა ვალდებულია, მხოლოდ ამ გზას დაადგეს და მოქალაქობრივ უფლებათა აღიარება რეალურ ფაქტად გაჰხადოს, თუ მას მართლა სურს, რომ სახელმწიფოში კანონიერება დამყარდეს და მშვიდობიანი კულტურული ცხოვრება განვითარდეს.

* * *

სიტყვა და საქმე

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა—
შუა უზის დიდი ზღვარი“

სიტყვა მოქალაქობრივის თავისუფლების შესახებ წარმოითქვა... სახე და გული გაგვინათლდება.. ცხოვრებამ ვითომ ელფერი შეიცვალა.

მაგრამ...

ყველას ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ სიტყვის ფარგალშია და მის საზღვარს არ გასცილებია...

რა არის სიტყვა უსაქმოდ?

მზის სხივისაგან უცბად გაფურჩქნული ყვავილი, რომელიც გრიგალის ერთს დაბერვაზედ მსწრაფლ სჭკნება და სიცოცხლეს ესალმება!

მაგონდება ერთი იგავი:

ვიღაც კაცი კვდებოდა. მოუწოდა მოძღვარს და მახლობლებს. უთხრა, ჩემი ანდერძი ეს არის, გთხოვთ სინამდვილით შეასრულოთო: ამა და ამ საზოგადო დაწესებულებისათვის ამდენი და ამდენი მიანდერძებია, ამა და ამ საქველ-მოქმედო საქმისათვის ამდენი და ამდენიო. ერთი სიტყვით, გულუხვი შესაწირავი დასტოვა. ბოლოს, როცა ჰკითხეს,—ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ფული? ვისგან უნდა მივიღოთო,

— კარგი ამბავია!—წამოიძახა მომაკვდავმა—მაგაზედაც მე ვიზრუნოო?! ანდერძი ჩემი საქმე იყო და აღსრულება თქვენიო.

არა, გულ ახდით მითხარით, ამ ანდერძს არა ჰგავს ჩვენის მთავრობისაგან „ბოძებული“ თავისუფლება?! ღმერთმა, რომ ჰგავს.

იგი გვეუბნება: მე ვთქვი „თავისუფალნი იყავით“-მეთქი და თქვენ კი ეს თავისუფლება აასრულეთო.

კარგი ამბავია! თავისუფლებაა,—მაშ რა არის?

თავისუფალი იყავი, თავისუფალი, მხოლოდ ქუჩებში ფთხილად იარე,—ჯარის კაცის ხიშტებს არ წააწყდე...

თავისუფალი იყავი, მხოლოდ.. ქუდი მოიშვლიპე თავიდან, როცა ვიღაც-ვიღაც „პატრიოტები“ (ხულიგანები არ გეგონოთ) შემოგძახებენ „დოლოი შაპკუ“-ო.

თავისუფალი იყავი, ხელს არავინ გახლებს, მხოლოდ... ვისი სახლიც მომეწონება, სამხედრო ყაზარმად ვაქცევ!..

შენი სინიდისი თავისუფალია, რაც გინდა ის მოიწონე,—მხოლოდ მარსელიეზა არ იმღერო, შემოსძახე ის, რასაც გიბრძანებენ...

შენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი შეუთანხმებელს ვერ შევათანხმებ. ჩემის აზრით, სიტყვით ბოძებული თავისუფლება საქმით—აქაფებული საპნის ბუშტია, რომელსაც მცირე შებერვა არარად აქცევს.

და თავისუფლების ასე არარად ქცევას, მაგალითად, ჩვენში, ყოველ წუთს, ყოველ წამს ვხედავთ.

მართალი სთქვა გრაფმა ვიტტემ: „ჩვენი (ე. ი. მთავრობის) უბედურება ის არის, რომ, რასაც ერთის ხელით ვაძლევთ ხალხს, იმას მეორე ხელით ვართმევთ“-ო.

მაგრამ უფრო მართალი იქნებოდა, რომ ვიტტეს ეთქვა: „რასაც **სიტყვით** ვაძლევთ ხალხს, —**საქმით** ვართმევთ“-ო.

დამშვიდდი, დაწყნარდი და ყველაფერი „ნაბოძები“ თავისუფლება მოგეცემაო.

შე დალოცვილო! მე სწორედ იმიტომ არა ვარ დამშვიდებული და დაწყნარებული, რომ დაპირებული, აღთქმული (უფრო კი ძალით ხელიდან გამოგლეჯილი) არ მეძლევა.

მოდი, ასე იყოს: შენ მომეცი ის, რაც მე „მოვიპოვე“, და მერე ნახავ, დავწყნარდები თუ არა... იქნება, შენ ისე არა ნატრობდე ცხოვრების მყუდროებას, როგორც მე... მაგრამ რა ვქნა?! ცდილობ, ყელში ხელი წამიჭირო, დამარჩო და შენვე მეუბნები, რა გაშფოთებს, ხომ ხედავ, თავისუფლებას განიჭებო?!..

ნანიკებ?!

გმადლობ!..

ამგვარ თავისუფლებას ვერ შევიგუებ!..

ინენ.

* * *

რას მოველოდით?

—

გვეუბნებიან,—17 ოქტომბრის მანიფესტით ხალხს სხვადასხვა უფლება აქვს მიღებულიო. სიტყვის და კრებების თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში!

ზოგიერთი ეჭვის თვალით უყურებს მანიფესტს და ამტკიცებს, ეს მანიფესტი გულწრფელად არ არის შედგენილიო. შიგ არ არის ნახსენები სიტყვა „კონსტიტუცია“, არ არის მოხსენებული პრესსის თავისუფლება, კრიტიც არ არის დაძრული საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ. ბუნდათ და ბუნდოვანად ჰპირდება მთავრობა მცხოვრებლებს სხვადასხვა უფლებას, ჰპირდება და თვითონ თავის პოზიციას არ იცვლის და ამბობს—მეთაურებო და ჩემგან სხვა რას მოელოდით.

უმეტესობა კი მხიარულობდა.

ურწმუნო თომებს გრაფი ვიტტე არწმუნებდა, ჩემ პატიოსან სიტყვას ენდევით, რომ მართლა და ნამდვილი თავისუფლება მოგენიჭებათო.

ვიტტე თავდებად უდგებოდა მთავრობას...

მაგრამ მალე შხამი გაერია საერთო მხიარულებას. რუსეთის სხვადასხვა კუთხეში განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ თავი მოიყარეს ბნელმა ძალებმა, თავისუფლების მოყვარეთა გახარებულ ხალხის „დასამშვიდებლად“ ისევ უწინდელივით აამართეს კაზაკის მათრახი, რომლის შრიალსაც ახლა ბანს აძლევდა თოფების გრიალი და ხულიგანთა ბრბოს აღფრთოვანებული ურას ძახილი და ძალმომრეობის, ხოცვისა და ყლეტის ქებათა-ქება.

თავისუფლების „პირველ დღეს“ მალე თავისუფლების „უკანასკნელი“ დღეც მოჰყვა... ჯერ არასოდეს გაბატონებულ წრეების ძალმომრეობას ისეთი სიმკაცრე არ დასტყობია, როგორც ამჟამად, ჯერ არასოდეს მშვიდობიანობის დასაცველად ამდენი უმანკო სისხლი არ დაღვრილა და ჯერ არასოდეს კანონიერების მაგიერობა ასე სავსებით არ გაუწევია მხედრობის ძალას, ადმინისტრაციის თვითნებობას და ხალხის უუფლებობას.

ხულიგანთა ბრბო, რომელიც ჯარის მფარველობის ქვეშ გამოდის და პატრიოტულ სიმღერებით აჩაქჩაქებს ყველაფერს, რასაც თავისუფლების ელფერი ეტყობა,—იგივე ხალხის მიღიცია, მხოლოდ მილიცია საზოგადოების ნაძირალთაგან შემდგარი და გაბატონებულ წრეების მომხრე. ხულიგანთა ბრბო გაბატონებულ წრეების მარჯვენა ხელია და მის მოქმედებაში პასუხისმგებლობა ეძება იმათ, ვინც ჯარებს გზავნის ხულიგანთა გასამხნევებლად და ხალხს ხოცავს მათ დასათვრად.

რეაქციის ძლიერი ტალღა რუსეთს კიდიდან კიდემდის მოედო.. ისინიც კი, ვინც ხალხს უთმობდნენ უფლებას, იმავე დროს ამ რეაქციასაც მფარველობდნენ და ამაგრებდნენ... სად არის ერთი მაგალითი მაინც, რომ გაბატონებულ წრეებს ჯარების საშუალებით დაესაჯოთ ხულიგნები, რომლებიც ისინი არღვევდნენ სიტყვის და კრების ან სინიდისის თავისუფლებას, რომლებიც ცემა-ტყეპით და რევოლვერებით აშინებდნენ იმათ, ვინც მათის პატრიოტულ სიმღერის გაგონებაზე ქუდის მოხდას არ ისურვებდა!...

თავისუფლების მინიჭებასთან ერთად რეაქციაც გაამძლიერეს!.. სისხლით მორწყულ ქუჩები, სახლები ხამოერთვა მცხოვრებლებს ჯარების დასაბინავებლად, უდანაშაულო, მოსვენარე ხალხი ქუჩებში გაძარცვეს და ამაზე თავისუფლების მომნიჭებელი მმართველი წრეები ხმას არ იღებენ, გაჩერებულან... აჰა ეს არის თავისუფლება!...

მიწასთან გაგასწორებ, გაგსრესავ და ისე მოგცემ თავისუფლებას! ამიტომ ახლაც გურიაში ჯარებს გზავნიან, რომ გასრისონ, გაანადგურონ ეს მხარე, რომლის დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ვერ ურიგდება ცხოვრების სიდუხჭირეს და სხვებზე უფრო მწვავედ გრძნობს გაბატონებულ უსამართლობას...

გაბატონებული წრეები, რომლებიც აცხადებენ, ხალხისთვის გვინდაო თავისუფლება, ამათ გასრესას უქადიან. ალბად იმისთვის, რომ შემდეგ ამ მათგან გაჰვერანებულ მხარეში სხვები დასახლდნენ და მათ მიანიჭონ უკეთესი ცხოვრება! მთავრობა, რომელიც ხალხის სურვილების აღმასრულებელი უნდა იყოს, აქ ხალხთან მოლაპარაკებას, რასმე ახლავე დათმობას არ კადრულობს,—როგორ იქმნება!—ჯერ უნდა მოვსპო „ეს თავისუფლება“ და შემდეგ იქვე უნდა შემოვიდოთ „ჩემი თავისუფლება“.

და ამ დროს ყველა ის მომქმედი პარტიები რუსეთში, რომლებიც გურიის მოძრაობით თავს იქებდნენ და სარგებლობდნენ, ახლა განზე არ უნდა გაძვრნენ და უმოქმედოდ და გულგრილად არ უნდა უყურონ მომქმედ გურულების გასრესას.

რას მოველოდით? მოწყალებას გაბატონებულ წრეებისაგან? დახმარებას რუსეთის მომქმედ ძალებისაგან?..

თუ შევიგნოთ, რომ კავკასია რუსეთის ხალხისთვის „განაპირა ქვეყანა“ არის, რომლის ბედისთვის საუკეთესო იდეალებით გატაცებული და რუსეთში მომქმედი პარტიებიც კი თავს არ გამოიდებენ და არ შეიწუხებენ? შევიგნოთ, რომ ჩვენი ადგილობრივი საქმე ჩვენვე მოსაწყობია, რომ ყველა ადგილობრივ მცხოვრებლებს საერთო მიზანი გვქონია და ამ მიზნის განხორციელებას ვეცადოთ საერთო ძალით, ადგილობრივ საზოგადო ძალთა ურთიერთობის მიხედვით?

ყოველ შემთხვევაში ეს მეტად მძიმე და მასთან ერთად საშური საქმეა,—მისი გადადება არ შეიძლება,—ჯარები მიდის გურიისაკენ,—ამ ჯარებს ჯიბეში თავისუფლების შესახებ მანიფესტი აქვთ და მხარზე კი თოფები მიაქვთ და თან მიითხოვენ ზარბაზნებს... ხალხის ამოსაჟლეტად!..

უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი ძალები და თავი ტყუილად არ გავასრესინოთ არავის, თუ შეგვიძლიან სხვა გზით მივაღწიოთ ჩვენ მიზანს...

ამ გზის გარკვევა გაზეთის ფურცლებზე არ შეიძლება.

ვარ. ფ—ი.

* * *

რატომ არ სცხრება ხალხის მღელვარება?

—

კეთილო მკითხველო, გამოიცანი: მთავრობა და ადმინისტრაცია ხვეწნით, ხან მუქარით და ხანაც ხიშტებითა და ცხელის ტყვიით ხალხს ეუბნება,—კარგი, გეყოფა, დამშვიდდიო. მაგრამ ხალხი, მშვიდობას მოწყურებული ხალხი, მაინც არ სცხრება და არ ისვენებს. ამ ტრაგიკულ კვანძის ერთი უმთავრესი წვერი გუშინდელ წერილში აღვნიშნეთ. განვიხილოთ სხვები.

ხალხმა უკვე მოიპოვა ადამიანის ელემენტარული უფლებები, მოქალაქობრივი თავისუფლება და ამას უმაღლესი სანქციაც ებოძა. ეს უფლებებია: „პიროვნების ხელშეუხებლობა, თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა, კრებებისა და კავშირებისა“. ეს უფლებანი მჭიდროდ, ორგანიულად არიან ერთი მეორეზე გადაბმულნი. არ შეიძლება მიიღოთ ერთი და უარჰყოთ სხვები. ამას ეწინააღმდეგება ლოღიკა, ამას ეწინააღმდეგება ცხოვრება. დასახელებულ უფლებათაგან ბუნებრივად გამომდინარეობენ კიდევ სხვა უფლებანიც, რომელთა უარყოფა და გამოცალკევება აგრეთვე შეუძლებელია; მათი განხორციელება ისტორიული აუცილებლობაა.

ავიღოთ კავშირების თავისუფლება. კავშირები, ე. ი. ადამიანთა ასოციაციები, შეერთებანი ყველა იმ მიზნებით, რაიც არ ეწინააღმდეგება თანამედროვე ადამიანის ბუნებას და ცხოვრებას. ასეთი მიზნებია: სავაჭრო, სამრეწველო, სამუშაო, სატეხნიკო, სამეცნიერო, სახელოვნო, სამუსიკო, საპოლიტიკო და სხ. ერთი სიტყვით, პროფესიონალური კავშირები და პოლიტიკური პარტიები.

ასეთ კავშირების თავისუფლად შესადგენად, რა თქმა უნდა, საჭიროა აზრების თავისუფლად გამოთქმა, გაზიარება. აქედან კრებების, მიტინგების, სიტყვის თავისუფლების აუცილებლობა. რა არის სიტყვის თავისუფლება? სიტყვა ხომ ფორმაა, გამოხატულებაა აზრისა, შეხედულებისა თუ გრძნობისა. ამათ გამოსახატავად არსებობს კიდევ სხვა ფორმები. უმნიშვნელოვანესია პრესსა და საზოგადოდ ბეჭდვითი სიტყვა, რაც იგულისხმებს აგრეთვე ნახატებსა და სურათებს. სიტყვის თავისუფლების ერთი მთავარი დანიშნულებაა—უზრუნველ ყოფილ იქმნას აზრების განვითარების თავისუფლება, რომ მით აჩქარდეს თვით აზრების განვითარება, ადამიანების განვითარება — მაშასადამე, თვით ცხოვრების განვითარება, ე. ი. აჩქარდეს ხალხის ტანჯვის შემცირება და მოსპობა, გაფართოვდეს და გადიდდეს ადამიანთა სიამოვნება. აზრების განვითარება კი, ისე როგორც უკვე არსებულ აზრების მნიშვნელობა, მეტია უფრო მაშინ, როცა თავისუფალია ყველა ის აზრის გამოსახატი ფორმები, რაც ცხოვრებამ შეიმუშავა. თანამედროვე ცხოვრებამ შეიმუშავა სხვათაშორის, ერთი

მნიშვნელოვანი ფორმა აზრის გამოსახატველად—ეს არის ხალხის მიერ აზრის საქვეყნოდ გამოთქმა პროცესიებით, მუსიკით, სიმღერით, ბაირაღებით და სხვა ემბლემებით; ეს არის პოლიტიკური მანიფესტაცია *). ძველმა ცხოვრებამ უკვე იცოდა ამგვარი მანიფესტაციები; ეს არის სარწმუნოებრივი პროცესიები, რაიც ერთ დროს სასტიკად იყო მთავრობისაგან აკრძალული.

როდესაც ვღიარებთ აზრისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას, იძულებული ვართ ვაღიაროთ თვით ამ აზრების მატარებელის (პიროვნების) თავისუფლება. საჭიროა ვაღიაროთ პიროვნების ხელშეუხებლობა. პიროვნება თავისუფალი და ხელშეუხებელი უნდა იყოს შინ და გარედ. ხალხის, ბინის ხელის შეხება იმავე პიროვნების ხელის შეხება და შეურაცხყოფაა. მაშ, პიროვნების ხელშეუხებლობასთან აუცილებელია ბინის ხელშეუხებლობაც **)

აქ დასახელებული უფლებანი, აგრეთვე ძირითადი პოლიტიკური უფლება—საარჩევნო უფლება—ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებსა და სახელმწიფო საკანონმდებლო დაწესებულებაში (პარლამენტი) შეადგენენ ადამიანისა და მოქალაქის ელემენტარულ უფლებებს. ესენია თანამედროვე საზოგადოებრივ ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობები, ესენია იმისი საზოგადოებრივი ჰაერი,ურომლისოდაც მას არ შეუძლიან სიცოცხლე. როცა ეს უფლებები განსაცდელშია, მაშინ თვით საზოგადოებრივ ადამიანის სიცოცხლეა განსაცდელში; ადამიანს მაშინ სული უგუბდება და იგი ხელ-ფეხს იქნევს, ყველა საშუალებას ხმარობს, რომ არსებობა გადაირჩინოს. ასე რომ ამგვარ შემთხვევაში, ადამიანი იმყოფება იმ მდგომარეობაში, რასაც იურისპრუდენცია უწოდებს კანონიერ თავის დაცვას. ასეთ მდგომარეობაში ადამიანს არამც თუ უფლება აქვს, მისი წმინდა მოვალეობაა იხმაროს ყოველივე საშუალებანი, ყოველივე იარაღით აიცილოს მჩაგვრელობა, თავი გადირჩინოს, თავი დაიცვას.

და რაკი მოხსენებული უფლებანი შეადგენენ ასეთ სასიცოცხლო ფორმებს თანამედროვე საზოგადოებრივ ადამიანისას, ცხადია, ვიდრე ამ უფლებებით სარგებლობა არ არის უზრუნველყოფილი, ხალხის მღელვარება იწარმოებს ისეთივე ბუნებრივის აუცილებლობით, როგორც ას გრადუსის ტემპერატურაზე წყალი აუცილებლად დუღს.

ეხლა მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო და ვნახოთ, აღნიშნული უფლებანი როგორ არის განხორციელებული ჩვენს ცხოვრებაში.

დავიწყოთ პრესის თავისუფლებიდან. მოგეხსენებათ, ვიტტე ირწმუნება, რომ სიტყვის თავისუფლება პრესსის თავისუფლებასაც ნიშნავსო. დღეს კავკასიაში ჟურნალ-გაზეთობა უცენზუროდ გამოდის, მაგრამ საცენზურო კომიტეტები მაინც გაუქმებული არ არის, წინანდელი ცენზორები ყოველ სტრიქონზე გვდარაჯობენ და სამართალში მიცემას გვემუქრებიან. უარესად თუ არა, უკეთესად არ არის საქმე სხვაგანაც. მაგ. 22 ოქტომბრის დეპეშით ხარკოვიდან იტყობინებიან: „სააგენტოს დეპეშებმა ცენზურის ხელში უნდა გაიაროსო, ,,ხარკოვსკი ლისტოკში'' ცენზურა წერილებს იჭერს". ასეთი ცნობა მარტო ხარკოვიდან არ მოდის, როგორ არის სხვა უფლებების საქმე? 23 ამ ოქტომბრიდან ტფილისისა და მის მაზრის გენერალ-გუბერნატორმა გენ.-ლეიტ. ქილიაიმ გამოაკვრევინა განცხადებანი მცხოვრებლებისადმი (სიტყვას ,,მოქალაქე'' ძველი ადმინისტრატორები ისე გაურბიან, როგორც სახადს; სიტყვას თქვენი პირი წაუღია, რომ ისინი ამ სიტყვის შინაარსსაც არ გაურბოდნენ). განცხადებაში სწერია: ,,ქუჩის თავისუფლება და უშიშროება უნდა უზრუნველყოფილ იქმნას არა მარტო რევოლუციონურ ჯგუფებისათვის, არამედ მთელი ხალხისთვის (ჭეშმარიტად ასეა) და ამიტომ ვაფრთხილებ მცხოვრებლებს, რომ ამიერიდან ქუჩის სახალხო მანიფესტაციებს, განსაკუთრებით რევოლუციონურ ემბლემებით, ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში მანიფესტაცია გაფანტულ იქმნება პოლიციისა და ჯარებისაგან". ასეთ განკარგულებას ადმინისტრაცია ასაბუთებს იმით, რომ ვითომ სახალხო მანიფესტაციები არღვევდეს საზოგადოებრივ წესრიგსა და მშვიდობიანობას.

ამის დასამტკიცებელი ფაქტები? აი, მაგ. 22 ოქტომბრის საზარელი სისხლის ღვრა გოლოვინის პროსპექტზე—ამბობს იგი. ნამდვილად კი, საქმის ვითარება ეხლა საკმაოდ გამორკვეულია. 22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე არავითარი სახალხო მანიფესტაცია არ ყოფილა, იქ არ დასწრებია არავითარი რევოლუციონური ჯგუფი, არა ყოფილა არავითარი რევოლუციონური ბაირაღი. პროსპექტზე მიდიოდა ერთი ჯგუფი პატრიოტებისა, ხელმწიფის სურათით და ბაირაღით; თან ახლდა კაზაკები და ჯარი; ვიღაცამ გაუსროლა რევოლვერი და ეს ყოფილა სიგნალი, რომ კაზაკებს და სალდათებს სეტყვასავით დაეშინათ ტყვია ყველასთვის, ვინც კი იმ დროს შემთხვევით მოსტანებია ტროტუარებზე, ქუჩაზე და ან ახლო-მახლო სადგომებში; კაცებს, ქალებს და ბავშვებს გაიაფთრებული ხოცავდნენ თოფ-რევოლვერით, ჩეხავდნენ ხმლებით, აგებდნენ შტიკებზე; სძარცვავდნენ, იტაცებდნენ, იკლებდნენ და ანგრევდნენ ყველაფერს, რასაც კი ხელსა თუ იარაღს მიაწვდენდნენ. ამბობენ, ოფიცერმა ბოლოს უთხრა კაზაკებს თუ სალდათებს: ეხლა კი კმარა, შესწყვიტეთ სროლაო, მაგრამ გაშმაგებული კაზაკ-სალდათები მაინც განაგრძობდნენ იარაღის ხმარებას.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთი საზარლობის ჩასადენად ნუ თუ საბუთია ის, რომ ერთმა შეშლილმა ან ბოროტმოქმედმა, პროვოკატორმა რევოლვერი გაისროლოს?.. რაც შეეხება სახალხო მანიფესტაციებს, წარსულ კვირას ტფილისში რამდენიმე დღის განმავლობაში იმართებოდა დიდი მანიფესტაციები, 30 დან 100 ათასამდე ადამიანისაგან შემდგარი; ხდებოდა მრავალ, ათასიანი მიტინგები, და ყველა ეს იწყებოდა და თავდებოდა ისე, რომ არავის ბეწვიც არ შერხევია, არავის ნემსიც არ დაკლებია. იმავე ხანს ვარშავაში იმართებოდა 250 ათასი ადამიანისაგან შემდგარი მანიფესტაციები და არც იქ დარღვეულა მშვიდობიანობა. ასევე მთელი იმპერიის ყველა იმ ადგილებში, სადაც კი ხდებოდა სახალხო მანიფესტაციები, ყველგან დაცული იყო საზოგადოებრივი სამაგალითო წეს-რიგი და მშვიდობიანობა, უკეთუ მანიფესტაციას არ დაერიოდა ხოლმე სამხედრო ძალა.

გენერალ-გუბერნატორი იმავე განცხადებაში აუწყებს მცხოვრებლებს, რომ კრებებისა და მიტინგების გამართვა—დარბაზებში თუ ცის ქვეშ—(უკანასკნელი ადგილები ადმინისტრაციისაგან არის ნაჩვენები) უნდა ექვემდებარებოდეს ხელმწიფის უკაზს, 12 ოქტომბრის თარიღით, უმართებულესს სენატისადმი. ამ უკაზის ძალით კი კრების გამართვის უფლება ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებულად უნდა იქმნას გამოთხოვილი ადმინისტრაციისაგან (3—7 დღით ადრე კრებამდე), რაიც ჰმოწმობს იმას, რომ კრების თავისუფლება არ არსებობს; ხელმწიფის 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით კი, კრების თავისუფლება არსებობს. გარდა ამისა, იმავე უკაზის მიხედვით, კრებაზე უნდა ესწრებოდეს პოლიციის წარმომადგენელი, რომელსაც უფლება აქვს ყოველ წუთას დახუროს კრება, თუ კი დაინახავს, რომ კრებაზე ვისგანმე ნალაპარაკევი ეწინააღმდეგება კანონს. საკითხავია—რომელ კანონს? 17 ოქტომბრის მანიფესტით არსებითად გაუქმებულია ბევრი წინანდელი კანონები, გაუქმებულია სახელმწიფოს თვით ძირითადი კანონი, ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა, სხვათა შორის, ადმინისტრაციის თვითნებობა და სხ. გუბერნატორის განცხადებიდან კი გამოდის, რომ ეს კანონები ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული; მაგ. არ არის გაუქმებული 12 ოქტომბრის უკაზი, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება 17 ოქტომბრის მანიფესტს. ამრიგად კრებების და, მაშასადამე, სიტყვის თავისუფლების—ისე როგორც სხვა ამგვარი უფლებების—განხორციელება მინაბრებულია ადმინისტრაციის თვითნებობაზე და ეს კი ეწინააღმდეგება თვით ხელმწიფის 17 ოქტომბრის გამოცემულ მანიფესტს.

მაგრამ, განა შეიძლება ლაპარაკი მოქალაქობრივ თავისუფლებასა და ადამიანის ელემენტარულ უფლებათა განხორციელებაზე იქ, სადაც ჯერ კიდევ არსებობს სამხედრო წესები, გაძლიერებულ დაცვის წესები, ეკზეკუცია, სადაც სასწავლებლებშიაც კი ჩაყენებულია ჯარები? რა არის სამხედრო წესები და ეკზეკუცია? ეს ისეთი წესებია, როცა „მოქალაქე" პოლიტიკურ დანაშაულობისათვის შეიძლება 24 საათში გამოასალმონ წუთისოფელს. და ეს მაშინ, როცა ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ ხანაში, როცა ის, რაც გუშინ პოლიტიკურ დანაშაულობად იყო მიჩნეული, დღეს მოქალაქის ხელშეუხებელ უფლებად არის აღიარებული, და ის, რაც დღეს ისევ პოლიტიკურ დანაშაულობად არის მიჩნეული, შეიძლება ხვალ აგრეთვე მოქალაქის წმინდა უფლებად იყოს გამოცხადებული. სამხედრო წესები,—ეს ისეთი წესებია, რომელიც არსებობს ხოლმე ერთი სახელმწიფოს ჯარებისაგან დაპყრობილ მეორე სახელმწიფოს სოფლებსა და ქალაქებში; გამარჯვებულ ჯარებს დაპყრობილებზე სიკვდილ—სიცოცხლის უკონტროლო უფლება ეძლევათ ხოლმე. ასეთ პირობებში მცხოვრებნი მონათა მონანი არიან. მათი მდგომარეობა მონებისაზე უარესია. მონასა და უფალს შორის მტრული განწყობილება ჩვეულებრივი მოვლენა მაინც არ არის, რადგან მონა უფალის ქონებას შეადგენს.

მაგრამ წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი, რომ კაზაკები და ჯარები ძალიან ლმობიერად იქცევიან; განა, სხვაც არა იყოს რა, წამ-დაუწუმ კაზაკების, დრაგუნების ჯარების თქარათქური, ხმაურობა, იარაღის ჩხაკა-ჩხუკი, თოფების და ხიშტების პრიალი დაამშვიდებს მოქალაქეთ? თუ, წინააღმდეგ, იმათს სამართლიან გულისწყრომას უფრო და უფრო მწვავე გამოხატულება მიეცემა? ვფიქრობთ, უკანასკნელი, სხვა რომ არა ვსთქვათ, ფსიხოლოგიურად აუცილებელია.

წარსულ და აწმყო ისტორიის გამოცდილებით ვიცით, რომ სამხედრო ძალას, რეგულიარულ არმიას არაოდეს! არ შეუძლიან დაიცვას შინაური ცხოვრების წეს-რიგი და მშვიდობა. ეს მისთვის ყოვლად განუხორციელებელი და შეუფერებელი დანიშნულებაა. გარეშე მტრის მოგერება და შინაურ „მტრის" დამორჩილება,—ეს ორი სრულიად სხვადასხვა საქმეა, ისე, როგორც გარეშე და შინაური ,,მტერი'' სრულიად სხვადასხვა კატეგორიებია. შინაურ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად ჯარისთვის ერთადერთი საშუალება—სრულიად მოსპოს ის ხალხი, ვინც ბჭობს, კამათობს, თათბირობს, იბრძვის სახელმწიფოს ასეთ თუ ისეთ კანონებისა და წესწყობილებისათვის, თუნდაც ეს ბრძოლა ხდებოდეს სრულიად მშვიდობიან საშუალებით, როგორიც არის სიტყვა „მანიფესტი" და სხ.

გუბერნატორის ზემოხსენებულ განცხადებიდან დავინახეთ, რომ უკეთუ მცხოვრებლები არ მიხედავენ ადმინისტრაციის განკარგულებას და მაინც მოახდენენ მანიფესტაციებს, მაშინ ჯარები მათ იარაღით გაჰფანტავენ. მანიფესტაციებს კი პატრიოტებიც ახდენენ. გუშინწინდელ დეპეშით მთავრობა იტყობინება პეტერბურგიდან, რომ ჯარები პარტიების გარეშე უნდა იდგნენ, ე. ი. შინაურ წესიერების დაცვის დროს და საჭიროების მიხედვით იარაღი უნდა იხმარონ ყველა მოწინააღმდეგეზე, განურჩევლად პარტიებისა. მაინც უკვე მომხდარ შეტაკებებიდან ვიცით, რომ შინაურ ბრძოლის ველზე მარტო რევოლუციონერები არ იხოცებიან. ამ გვარად, ჯარმა რომ კარგად შეასრულოს თავისი შინაური დანიშნულება, მას მოუხდება დიდძალ ხალხის გაწყვეტა. ხალხის მასსობრივი ამოჟლეტა კი არავისთვის არ უნდა იყოს საინტერესო, რადგან მაშინ ისპობა თვით სახელმწიფო ცხოვრება.

მაგრამ ჩვენ იმას არ ვამბობთ, ვითომ ჯარები რომ თავიდან მოგვაშორონ, მაშინ არავითარი უწესოება აღარ იქნება შესაძლებელიო. არა, ჩვენ კარგად ვიცით, რომ, როდესაც ძველი რეჟიმი ისპობა, მასთან ერთად არ ისპობიან ამ რეჟიმის მოტრფიალენი. ყოველთვის რჩება განსაზღვრული ნაწილი, რომელიც ყოველი ღონის ძიებით ებღაუჭება (იცავს) წარსულისაკენ დაქანებულ რეჟიმს და ეწინააღმდეგება ახალის დამყარებას. ესენი ახდენენ უწესოებას, არღვევენ საზოგადოებრივ მშვიდობიანობას. მართალია, არსებულ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება დღეს იმ გვარია, რომ, თუ ჯარები თავიდან მოგვშორდება, მაშინ ძველი რეჟიმის დამცველთ არ შეეძლებათ არავითარი სერიოზულ და საყურადღებო უწესობის მოხდენა. მაინც, ყოველ შემთხვევისათვის,—რომ საზოგადოებრივი მშვიდობიანობა უზრუნველ-ყოფილი იქმნას სრულიად, რომ უზრუნველ-ყოფილი იქმნას ახალი რეჟიმის განხორციელება, საჭირო არის განსაზღვრული ფიზიკური ძალა. ერთად ერთი კანონიერი ასეთი ძალა არის ადგილობრივ მოქალაქეთაგან შედგენილი მხედრობა, რომელიც თვითვე ირჩევს თავისს აფიცრებს; ეს მხედრობა არის, ეგრედ წოდებული, მოქალაქობრივი ანუ ნაციონალური გვარდია.

ყველა ზემოდ ნათქვამიდან ცხადია, რომ ხალხის მღელვარება დასცხრება, ქვეყანა ჩადგება მშვიდობიან განვითარების კალაპოტში მხოლოდ და მარტო მაშინ, როცა უზრუნველ-ყოფილ იქმნება ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა განხორციელება. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა საჭირო არის:

1) ქალაქის ქუჩებსა და სოფლებს მოაშორონ ჯარები და კაზაკები; მოისპოს გაძლიერებულ დაცვის წესები, სამხედრო წესები; სოფლებს მოეხსნას ეკზეკუცია.

2) გადაყენებულ იქმნან სამსახურიდან ყველა ის ძველი ადმინისტრატორები, გუბერნატორები, პოლიცმეისტერები, ნაჩალნიკ-პრისტავები, ყველა უმაღლესი და უმდაბლესი მოხელე—ბიუროკრატები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ახალ პოლიტიკურ წესწყობილების დამყარებას და თვით ხელმწიფის 17 ოქტომბერს გამოცემულ მანიფესტს. იმათ მაგიერ, ვიდრე მომავალი სახელმწიფო საკანონმდებლო დაწესებულება წამოაყენებდეს საპასუხო მთავრობასა და ადმინისტრაციას, საჭიროა დროებითმა მთავრობამ დაუყოვნებლივ დანიშნოს ახალი დროისა და კანონის შესაფერი ადმინისტრატორები.

3) როგორც გარანტია საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და კონსტიტუციის განხორციელებისა,—დაარსებულ უნდა იქმნას მოქალაქობრივი გვარდია.

ამ პირობათა შეუსრულებლად, ლაპარაკი ქვეყნის დამშვიდებაზე, ან ბოროტი დაცინვაა წამებულ ხალხზე და ან მიუტევებელი გაუგებრობა საქმისა.

ვლ. დარჩიაშვილი.

ტფილისის ამბები

(სურათები).

(14—27 ოქტომბერი).

14 ოქტომბერს, შუადღისას რკინის გზის დეპოდგან საყვირის საშინელი ხმა გაისმა. ეს იყო ნიშანი გაფიცვის დაწყებისა. ოთხი ათას მუშაზე მეტი გაეშურა დიდუბისაკენ და იქ მაშინვე გადაწყდა, რომ მეორე დღიდან დაიწყოს საერთო გაფიცვა. ეს ამბავი მთელმა ქალაქმაც გაიგო.

ნაშუადღევს 4 საათზე გაიფიცნენ ტრამვაის მოსამსახურენი.

ექვს საათზე გაიფიცნენ სტამბაში მომუშავენი.

15 ოქტომბერს არც ერთი გაზეთი აღარ გამოვიდა, გარდა ოფიციალურის „კავკაზისა".

გაფიცვის წინააღმდეგი მემანქანენი ამავე დღეს მოჰკლეს ნაძალადევში, მოჰკლეს აგრეთვე ერთი ჯაშუში. საღამოზე, ველიამინოვის ქუჩაზე, ყუმბარა გადააგდეს, რომელმაც იმსხვერპლა პოლიციის მოხელე და მძიმედ დასჭრა ორი დედაკაცი.

15 ოქტომბერს დაიკეტა მაღაზიები, დუქნები, ქარხანები, ბანკები, კანტორები.

ამ დღეს, შედარებით, ქალაქში მშვიდობიანობა იყო, მხოლოდ ავჭალის ქუჩაზე მოჰკლეს ჟანდარმი და პოლიციის ერთი მოხელე.

მშვენიერი ამინდი იდგა, გაზაფხული გეგონებოდით. ქუჩები ხალხით სავსე იყო.

უცებ ხმა გავარდა: ექვსი საათის იქით გარედ არავინ გამოხვიდეთ, თორემ იქნება სახლში ცოცხალი ველარ დაბრუნდეთო. მართლადაც, ექვსი საათის შემდეგ ხალხი სახლებში შეიმალა და ჩაბნელებული ქალაქი ჯოჯოხეთს დაემსგავსა. თუმცა ამ დღეს ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში" გამოვიდა ბრძანება გენერალ-გუბერნატორის ქილიაისა: ვუბრძანებ ყველა სახლის პატრონებს თავის მახლობლად ფარნები აანთონ, თორემ სასტიკად დავსჯიო, მაგრამ ბრძანება ბრძანებად დარჩა. ვინც აანთო, ვიღაცეებმა ყველას ფარნები ჩაულეწეს. ჩალეწეს იმ მაღაზიის შუშებიც, სადაც შიგნიდან სანთლები იყო ანთებული.

ასევე გაიარა 16 და 17 ოქტომბერმაც. მთელ ქალაქში პურისა და წყლის მეტი არაფერი იშოვებოდა. პირველ საჭიროების საგნებიც ძრიელ დაძვირდა: ნავთი ფუთი ექვსი მანათი გახდა, სანთელი გირვანქა ექვსი შაური, „შაურიანი პაპიროსი სამი შაური და ისიც ქურდულად თუ იშოვნიდით სადმე, თორემ ამ საგნებით აშკარად არავინა ვაჭრობდა.

ხალხი დიდ გაჭირებაში ჩავარდა, მაგრამ 17 ოქტომბრის მანიფესტმა, ცოტა არ იყოს, გაამხნევა იგი. ხელმწიფის მანიფესტის მნიშვნელობა ყველასათვის საყურადღებო შეიქმნა. ზოგი დარწმუნებული იყო, რომ სრული კონსტიტუცია მოგვანიჭეს. პროსპექტზე მოგროვილი ხალხი დიდ სჯა-ბაასს მიეცა. ერთი ჩასუქებული ახალგაზრდა შეადგა მხრებზე მეორეს და დაიწყო სიტყვა: „ნუ გგონიათ ჩვენთვის რაიმე მოეცეთ... თუ რაიმე უფლება მოვიპოვეთ ეს მოცემა კი არ არის, ჩვენ ყველაფერი ძალით წავართვით. ძალა ძმანო, ძალა, უნდა განვაგრძოთ ჩვენი ბრძოლა, არ უნდა შევსწყვიტოთ ჩვენი გაფიცვა იმ დრომდე, ვიდრე არ გაანთავისუფლებენ დატუსაღებულებს, რომელთა შემწეობითაც ეს უფლებანი მოვიპოვეთ!"

ასტყდა ვაშას ძახილი, ხალხმა „მარსელიეზა" შემოსძახა და, რამდენიმე წუთის შემდეგ, წითელი ბაირაღებიც აფრიალდა, ორატორი ორატორმა შესცვალა და ტფილისმა ეს დღე ამ სიხარულში გაატარა.

19 ოქტომბრიდან ქალაქი ორ დასად გაიყო. ერთ დასში იყვნენ სოციალ-რევოლუციონერები, ხოლო მეორეში სოციალ-დემოკრატები.

დილის ათ საათზე სოციალ-რევოლიუციენერები შეიყარნენ მამადავითის მოედანზე. აქედან დაეშვნენ მამადავითის ქუჩაზე და გაიწიეს გოლოვინის პროსპექტისაკენ. რამდენიმე ორატორმა სიტყვა სთქვა რედაქცია „განახლების" წინ და აქ შეუერთდნენ „დროშაკისტები" (სომხების პარტია). გამოვიდნენ ისევ ფართო ადგილას, არტისტიულ საზოგადოების წინ და ყველას მიეცა სრული თავისუფლება სიტყვის. სიტყვა სთქვა ქართველმა, სომეხმა, რუსმა და მაჰმადიანმა. ეს ორატორები თხოულობდნენ გაენთავისუფლებინათ ციხეში პოლიტიკურ საქმეების გამო დატუსაღებულები. ამ დროს გაჩნდა ქალაქის პოლიცმეისტერი ციისი და მივიდა ორატორთან და იქ გამოაცხადა: „ნამესტნიკმა ინება განთავისუფლება იმ პირებისა, რომლებიც არიან დატუსაღებულები ადმინისტრაციის განკარგულებით". ხალხმა ეს სიტყვები ტაშის კვრით და აღტაცებით მიიღო. სტაცეს ხელი პოლიცმეისტერს და ჰაერში აქანავეს. მუსიკამ „მარსელიეზა" დაუკრა.

ამ დროს წამოდგა ერთი რუსთაგანი და სთქვა: ხალხო, აი, ახალი სიყალბე, განახლებული რუსეთისა. ნამესტნიკმა ინება გაანთავისუფლოს ის პირნი, რომლებიც ადმინისტრაციის უფლებით არიან დაპატიმრებულნი. ეს განთავისუფლება არ არის. ეს პირნი, სულ ერთია, მალე უნდა განთავისუფლებულიყვნენ, რადგანაც მოკლე ვადითა სხდნენ. საქმე იმაშია გაანთავისუფლონ ყველანი, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან მხოლოდ მოძრაობისათვის. დღეს ჩვენ თავისუფლება მოგვეცა თავისუფლად ვილაპარაკოთ,—ეს არის ნება ნიკოლოოზ მეორისა. ეს თავისუფლება, რა თქმა უნდა, ეკუთვნის იმ ტუსაღებსაც, რომლებმაც ეს დღე ჩვენ მოგვანიჭეს. ძმანო, წავიდეთ ციხეში და ეს ჩვენი ძმები, თუ არ დაგვანებეს, ძალით გავანთავისუფლოთ. დღეს მოგვეცა ჩვენ თავისუფლება და ამ თავისუფლებით უნდა ვისარგებლოთ. უნდა ბოლო მოვუღოთ და გავნდევნოთ ჩვენთვის მავნე პირნი. ავიღოთ კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს წევრები: წევრი ღენერალი როშკოვსკი სულ ერთი თვეა, რაც ციმბირიდან გადმოიყვანეს და მუდამ დღე ჩამორჩობის განაჩენი გამოაქვს. ის ამბობს საჭირო არ არის, რომ სიკვდილის განაჩენის გამოტანისთვის ბრალდებული დამნაშავე იყოსო, ეს დისციპლინა არის, რითაც ხალხი მორჯულდებაო. ამისთანავე მსაჯულია ღენერალი შმერლინგი. მთელი რუსეთი სავსეა ამისთანა მსაჯულებით და ამათგან რა ხეირი უნდა გამოვიდეს. ნუ შეუშინდებით ნურავის. ხალხს თავისი სამართალი უნდა ჰქონდეს.

ამ სიტყვებმა ხანგრძლივი ტაშის ცემა გამოიწვია, ვაშას ძახილი, და მარსელიეზას დაკვრას ბოლო არ ჰქონდა. ორატორი ორატორმა გამოცვალა და ხალხი მომეტებულის მოთხოვნილებით გაემგზავრა მეტეხის ციხისაკენ. წითელი ბაირაღები გამრავლდა, ხალხმა უფრო მოიმატა და მივიდა მეტეხის ციხესთან. ეს ციხე წითელი ბაირაღებით მორთული იყო, ტუსაღებს გამოეღოთ ჩარკინული ფანჯრები და თხოულობდნენ ჩქარა გაგვანთავისუფლეთო. ორატორებმა შეჰფიცეს, დღეს თუ ხვალ თუ არ ნებით, ძალით, ან დავიხოცებით, ან გაგანთავისუფლებთო. ეს პროცესია დაბრუნდა და საღამოს ექვს საათზე დაიშალა.

ამავე დღეს ამისთანავე ყრილობა ჰქონდათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ნაძალადევში.

ოც ოქტომბერს სოციალ-რევოლუციონერებმა შეიყარეს თავი ავლაბარში. აქაც აფრიალდა წითელი ბაირაღები, შემოუერთდა ავლაბრის ხალხი და წამოვიდა მეტეხის ციხისკენ. ამ ციხის წინ გაიმართა კამათი, და სიტყვებს ბოლო აღარა ჰქონდა. სიტყვა ითქვა ქართულად, სომხურად, რუსულად, თათრულად. ყველა სიტყვას მოსდევდა მარსელიეზა და ვაშას ძახილი.

ამ დღეს, ნამესტნიკის განკარგულებით, განთავისუფლებულ იქმნენ სამოც და-ცხრა კაცი და ქალი. ციხიდან ერთმა ტუსაღმა მადლობის სიტყვა წარმოთქვა და დაუმატა: გამოველთ და ბრძოლაში არ დავივარდებითო. პროცესია დაიძრა მარსელიეზას კვრით და გამოვიდა ავლაბრის ხიდზე. აქ შეუერთდნენ მაჰმადიანებიც. გამოიარეს სიონის ქუჩა, გიორგის მოედანი. ხალხი ბალკონებიდან ტაშს უკრავდა და თანაც ხალხს უერთდებოდა. სიხარულეს საზღვარი აღარა ჰქონდა. ხალხმა გამოიარა ლორის-მელიქოვის ქუჩას და ფოსტის შენობას მიუახლოვდა. ამ შენობაში ფანჯრებიდან იცქირებოდნენ ფოსტის და ტელეგრაფის მოსამსახურენი. ხალხმა დაუძახა: „ამ საათში დაიშალენით და შემოგვიერთდითო". იმათ უპასუხეს მუდამ თქვენთან ვიქნებითო, იყრიალეს სამსახურს თავი გაანებეს და მიემატნენ პროცესიას. ეს პროცესია გამოვიდა ისევ არტისტიულ საზოგადოების შენობასთან, სადაც მიტინგი გაიმართა.

ამ დღეებში გაიფიცნენ ტფილისის ნაფიცი ვექილები და საქმეები გადაადებინეს, დაიკეტა ქალაქის სასამართლოები, სასწავლებლები, ფოსტა, ტელეგრაფი და ყოველი დაწესებულება, თეატრი, კრუჟოკი, კლუბი. არტისტიული საზოგადოება დაიკეტა თხუთმეტი დღით, რადგანაც არც ერთი ადამიანი არ გამოცხადდა. არც ერთ სასტუმროში სადილი და ვახშამი აღარ კეთდებოდა და სხვ.

21-ს ოქტომბრიდან ყველაფერი შეიცვალა და საქმეც სამწუხაროდ გათავდა. ამ დღიდან გამოვიდა ქალაქის ქუჩებში პატრიოტული წევრების პარტია, რომლებიც გალობდნენ „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს". ამ პარტიას ჰქონდა ბაირაღი ხელმწიფის სურათით. ამათ წინ მიუძღოდნენ დრაგუნები, გვერდებზე მისდევდნენ ყაზახები და უკანდგან ჰფარავდნენ სალდათები. ამ პარტიამ შემოიარა მთელი ქალაქი „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს" გალობით. ვინც შეხვდებოდა მათ ყველას ეუბნებოდნენ: ქუდები მოიხადეთო, და ვინც ამ ბრძანებას არ ასრულებდა, სცემდნენ და ზოგს რევოლვერს ესროდნენ და ჯარი ამ ქცევას არ უკრძალავდა. ამ პარტიამ დიდი თავზარი დასცა მთელ ქალაქს. ყველანი ამბობდნენ, სისხლი მოხდებაო. ამ დღემ ცოტათ თუ ბევრად მშვიდობიანად გაიარა, რადგან ყველა ამ პარტიას „ხულიგანებს" უწოდებდა და ყველა მათ თავს არიდებდა. ამბობდნენ, ამ დღეს ერთი გიმნაზიელი მოჰკლეს და რამდენიმე კაცი დასჭრეს.

22-ს ოქტომბერს დილის ათი საათიდან სოციალ-დემოკრატები შეიყარნენ ნაძალადევში, სოციალ-რევოლუციონერები კი—დიდუბეში. ამ უკანასკნელებმა დაადგინეს „საქმე თხოულობს უთუოდ უნდა შევუერთდეთ ჩვენ მოწინააღმდეგეს, სოციალ-დემოკრატებსაო, თორემ ხულიგანებთან ბრძოლა ისე არ შეიძლებაო. „ამისი რეზოლუცია შეიმუშავეს და მაშინვე გაემგზავრენ ნაძალადევისაკენ. მიუახლოვდნენ თუ არა მეორე პარტიას, სოციალ-დემოკრატებისას, ეს პარტია შუაზე გაიყო, გზა მისცა მოსულ პარტიას და მარსელიეზის დაკვრით მასპინძლობა გაუწია. ორთავე მხარეს ეტყობოდა. კმაყოფილნი იყვნენ. წამოდგა ერთი სოციალ-დემოკრატი და შემდეგი შინაარსის სიტყვა სთქვა: „ძალა ჩვენშია, დღევანდელმა დღემ დაგვიმტკიცა ეს. აგერ აქ არიან სოციალ-რევოლუციონერები! რათა? იმიტომ რომ ძალა ჩვენშია. ესენი ფარფაშობდნენ, დასეირნობდნენ გოლოვინის პროსპექტზე, ბაირაღებს და დროშებს შლიდნენ იმ დრომდე, ვიდრე იქ შიში არ იყო. ახლა იქ არიან ხულიგანები, რომლებიც თავის მოწინააღმდეგებს თავში სცემენ და მათზე იარაღს ხმარობენ და ჯარიც მათ ეხმარება. იქ ახლა საშიშია, ეს კარგათ იცის ამ ჩვენმა მოწინააღმდეგე პარტიამ და ამის შემდეგ იფიქრა, თავს როგორ ვუშველოთო. იფიქრეს, იფიქრეს და კარგად მიხვდნენ, რომ ჩვენ ძალა ვართ და მოგვეკედლნენ კიდეც".

ამისთანა „მასპინძლობამ" დიდი კამათი გამოიწვია და სოციალ-რევოლუციონერებმა სთქვეს: „ეს შემოკედლება არ არის. ჩვენ აქ მოსვლას თვით საქმე თხოულობს, ბრძოლა თხოულობს. აი ჩვენი დადგენილება, რეზოლუცია (კითხულობს დაბეჭდილ რეზოლუციას). შეიძლება ჩვენ ერთი ერთმანეთს წინააღმდეგები ვიყოთ ბევრ რასმეში, მაგრამ მიზანი ჩვენი ბრძოლისა ერთია. აი, ამ მიზანმა უნდა შეგვაერთოს ჩვენ და ერთად ვიბრძოლოთ. ბევრს რასმეში არ დავეთანხმოთ ერთმანეთს, ერთმანეთს წინააღმდეგობა გაუწიოთ, მაგრამ საქმეში უნდა ერთნი ვიყოთ. საქმის გულისთვის თავიც უნდა მოვიმდაბლოთ. ეს სიტყვა ხანგრძლივის ტაშის ცემით და მარსელიეზას კვრით მიიღეს.

ამ დროს გოლოვინის პროსპექტზე დიდი სისხლის ღვრა მოხდა. აი, ეს საქმე როგორ იყო; ნაშუადღევს 1 საათზე პატრიოტული პარტია წამოვიდა მუშტაიდიდგან და გაემგზავრა გოლოვინის პროსპექტისაკენ. წინ მიუძღოდა დრაგუნი, გვერდებზე ყაზახები, უკანიდგან იცავდნენ სალდათები. ეს პარტია მოახლოვდა სახელმწიფო თეატრს. ბულვარზე აუარებელი ხალხი ტრიალებდა, ქუჩაც ხალხით გაჭედილი იყო. ჯარი გამწკრივებული იყო ერთრიგათ „ტფილისის ფურცლის" რედაქციიდგან ქვაშვეთის ეკლესიის კუთხემდის და მეორე რიგათ პირველ გიმნაზიის კედელს იყო გაკრული. მოახლოვდა თუ არა ეს პარტია არტისტიულ საზოგადოებას, ხალხმა ქუჩა უცბად გაანთავისუფლა და მარტო ტროტუარები დაიჭირა. ეს პარტია მიდის და ჯარი წინ მიუძღვის. უცბად, ამ პარტიიდგან გამოვარდა ექვსი-შვიდი კაცი და დაეცა გიმნაზიის ალაყაფის კარებთან. მოწაფეებს, ერთის თვალის დახამხამებაზე მუშტი-კრივი გაიმართა, ხალხი შეძლებისდაგვარად მიიფანტა. ამ დროს ერთმა იმ პარტიათაგანმა, ლურჯ-ხალათიანმა რევოლვერი დასცალა. ბაღთან რომ სალდათები იდგნენ გაიგონეს თუ არა რევოლვერის ხმა, წამოიღეს თოფები და გაისროლეს. მათ

---

*) ევროპიულ ენებზე აზრის გამოთქმა-გამოხატვას აღნიშნავენ სიტყვით „მანიფესტ, მანიფესტერ" (მანიფესტე), აქედან—ტერმინი მანიფესტაცია.

*) თავისთავად ცხადია, რომ ცას ქვეშ არ არსებობს არაფერი განუსაზღვრელი. ბინასა და პიროვნებასაც, მიუცილებლად უნდა შეეხოს საზოგადოების ხელი, როცა საქმე ეხება ქურდობა-ავაზაკობას და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულობას.

წინ იდგნენ პოლიციის მოხელე და გოროდოვოი. ესენი ზოგი მოჰკლეს, ზოგნი დასჭრეს. ამის შემდეგ ჯარი გაიყო ორ ჯგუფად და დაიწყო შეუწყვეტელი სროლა. გიმნაზიელები შეცვივდნენ გიმნაზიის ალაყაფის კარებში და ამის შემდეგ ეს კარებიც ჩაიკეტა. მრავალნი შეცვივდნენ გიმნაზიის კანცელარიის კარებში, მუხრანის ნომრებში, „სობრანიაში", „პურ-ღვინოში", რედაქციებში „განახლებისა", „ტფილ. ფურცლისა" და ბევრნი სხვადასხვა გზებზე წავიდნენ. ჯარის ერთმა პარტიამ დაუშინა თოფები პურ-ღვინოს ბილიარდის ოთახს და სობრანიეს კარებს, ფანჯრებს და პურ-ღვინოს შესავალს. მეორე პარტიამ მიმართა თოფები და დაუშინა „ტფილისის ფურცლის" რედაქციას, კამაევის სახლს და არტისტიულ საზოგადოების შენობას. თოფის სროლა დიდ-ხანს გაგრძელდა. ქუჩაში მრავალი მკვდარი და მრავალი დაჭრილი ეგდო. ვინც გარბოდა, იმათ უფრო უშენდნენ თოფებს. ქუჩაში სადაც კაცი რომ აღარავინ იყო, სალდათები, დრაგუნები და კაზაკები შეცვივდნენ სხვადასხვა შენობებში. ამგვარად აიკლეს 1) ვაჟთა პირველი გიმნაზია. გიმნაზიაში მოკლულთა ვინაობა უკვე გვქონდა გამოცხადებული. ყმაწვილების ამოჟლეტის შემდეგ, კაზაკები შეცვივდნენ ამ გიმნაზიის დირექტორის ბ-ნ გამყრელიძის სახლში, იქაურობა მიანგრ-მოანგრიეს და ბევრი ფული და ნივთებიც ასწაპნეს. 2) პურ-ღვინოს ეზოში მრავალი შეშინებული შეცვივდა. კაზაკები დაეცნენ და მოჰკლეს ესტატე ჯაჯანაშვილი, ბაკურციხის (სიღნაღის მაზრა) თავადთაგანი იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე და მეუღლე მისი ეკატერინე, ივანე ჯორჯაძის ასული, ბაყალი მიხეილ კუხიევი (ცნობილი გიგო). ეს საცოდავი თავისის ხილის პოდვალში მოუმწყვდევიათ თავისი მებაღით და ორთავე დაუხოციათ. მოჰკლეს პურ-ღვინოს ბუფეტჩიკი ახალ-გაზდა ყმაწვილი კაცი და დასჭრეს მრავალნი.

3) ტფილისის ფურცლის რედაქციაში, რომელსაც ტყვიები დაუშინეს დაიჭრა მხოლოდ რამდენიმე კაცი, მომეტებულნი კი გადარჩნენ უკანა ოთახებში, რადგან იმ დროს ამ ოთახებში სალამომდის ჯარი არ შესულა.

4) „ვოზროჟდენიეს" რედაქცია. ეს რედაქცია ხალხით გაივსო, იქნებოდა შიგ ორმოც ადამიანზე მეტი, ქალი და კაცი. აქ იყვნენ რედაქტორი გაზეთისა, პართენ გოთუა, არტისტი გუნია, მწერალი ლ. ყიფიანი, ნ. გ. ქართველიშვილი ანნა ჯიჯავაძისა, ნამესტნიკის კანცელარიის მმართველი ლინდელი და სხვანი. აქ ყოფნაში დიდი შიში გამოიარეს. ამ დროს კომენდატის სამმართველოში მორიგ აფიცრად იყო ამავე გაზეთის გამომცემელი პ. ი. თუმანიშვილი, რომელმაც ხელად მოიხმარა და გაგზავნა აფიცერი თავის რედაქციის დასახსნელად. როდესაც ხალხი რედაქციიდან გამოიყვანეს, შეცვივდნენ კაზაკები და იუნკრები და მთელი რედაქცია აიკლეს.

5) გოლოვინის პროსპექტი მთლად მოდებული იყო მოკლულებითა და დაჭრილებით.

6) ტფილისის საკრებულო (სობრანიე). დიდი შიში გამოიარა, ვინც ამ სობრანიეში მოჰყვა. ამავე სობრანიეში თავი შეაფარა ჩვენმა რედაქტორმა ფ. გ. გოგიჩაიშვილმა. ამას უკან მოსდევდნენ კაზაკები. გოგიჩაიშვილმა გაირბინა ბუფეტის დარბაზი, ბუფეტი,—ერთ ადგილას მიადგა გაანგრია კარები და ამოჰყო თავი ბნელ კიბესთან. ეს კიბე თურმე ადის მუხრანის ნომრებში. სხვები როგორ გადარჩნენ ჯერაც ვერ აუხსნიათ. ორმოცამდე სული მოჰყვა სობრანიის ფეხის ალაგში. დრაგუნებმა და კაზაკებმა შეამტვრიეს ფეხის ადგილის კარები. ერთმა დრაგუნთაგანმა ხელები მაღლა ასწია და „Боже Царя храни"-ს გალობა დაიწყო. უმწყვდეულებმაც ბანი მისცეს და მთელი ხალხი იმართა. დრაგუნმა ეს გალობა სამჯერ გაამეორებინა და ეს ხალხი გალობით ქუჩაში გამოიყვანეს. გამოუცხადეს: „საიმედონი ყოფილხართ, შეგიძლიათ შინ წახვიდეთო". ამის შემდეგ მთელი შენობა გაჩხრიკ-გამოჩხრიკეს და მილეწ-მოლეწეს.

7) მუხრანის ნომრები. რედაქტორი გოგიჩაიშვილი ავიდა ამ ნომრებში, მას მისდევდა თურმე სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი ნ. ლ. თარხან-მოურავი, რომელიც ამ ნომრებში სდგას და ყველა გზები კარგად იცის. ამ კიბესთან ერთი ნომერია, რომელშიაც ქალი იდგა და ორი პატარა ბავშვი ჰყავდა. გამგელებული კაზაკები მოცვივდნენ. გოგიჩაიშვილმა ამ პატარა ბავშვებს მოავლო ხელი და კაზაკებს შეეხვეწა ნუ მოჰკლავთ ამ ბავშვებსაო. ერთი კაზაკთაგანი სწვდა გოგიჩაიშვილსა და ოქროს ძეწკვიანი საათი აგლიჯა ბ-ნ გოგიჩაიშვილს თან ცხრა თუმან ნახევარი ჰქონდა და ამ ფულებით გამოისყიდა თავისი და იქ მყოფთა სიცოცხლე.

მეთორმეტე ნომერში მცხოვრები სასამართლოს მსაჯული გ. ზ. ჩიჩიბაია და მისი სტრამარი სასამართლოს პალატის წევრი გეგიძე სიკვდილს „ბოჟე ცარიას" გალობამ გადაარჩინა.

სისხლის ღვრამ ნაშუადღევის 3 საათსა და 40 წამდე გასტანა ქუჩებში და სახლებში. მხოლოდ სამხედრო კაცები სჩანდნენ, სხვანი ან დაიჭრა, ან მოკვდა და ან თავს უშველა.

ორი საათი იქნებოდა. სამების ქუჩაზე მორბოდა ორი კაცი, ერთმა მათგანმა ქვას ფეხი წამოჰკრა და წაიქცა, ჯიბეში ორი გატენილი ყუმბარა ჰქონია, რომელმაც იფეთქა და გასკდა. ეს ორი კაცი იქვე იმსხვერპლა და გლავაცკის სახლების კედლები და ფანჯრები დააზიანა.

ამ უმაგალითო ხოცვა-ჟლეტის გამო ქალაქს შავი ზეწარი გადაეფარა და გლოვის ნიშანი დაეტყო.

26 ოქტომბერს მიხეილის პროსპექტზე გავიარე. ტირილი მომესმა, თურმე წინადღის მსხვერპლს იასონ შახ-აზიზოვს ასაფლავებდნენ. ადმინისტრაციამ ნება არ მისცა მომტირალნი და თანაგრძნობნი უკან მიჰყოლობდნენ.

შევედი მიხეილის საავადმყოფოში, სადაც მოკლულებში და დაჭრილებში ბევრი ვიცანი. ამათი სია უკვე იციან მკითხველებმა.

25 ოქტომბერს, ვერაზე, სლეპცოვის ქუჩიდან გამოასვენეს მიცვალებული გიმნაზიელი კასიან კოტიევი, 15 წლის. კუბო ეჭირათ ხელში გიმნაზიელებსა და მასწავლებლებს. კოტიევი ერთად ერთი შვილი იყო მოხუცებულის დედისა.

კალამი ვერ აღწერს იმ სურათს, რომელიც 26 ოქტომბერს ვნახე. დილის ათი საათი იყო. გავიარე ელისაბედის ქუჩაზე. ერთის სახლიდგან გამოიტანეს გვირგვინები, ხალხი ბლომად იყო. მთელი კახეთის თავად-აზნაურობა, ქალაქის არისტოკრატია, სტუდენტობა, შეგირდობა და მუშა ხალხი. ერთ გვირგვინზე წავიკითხე: „თავისუფლებისთვის სახელოვან მებრძოლ გიორგისა და ლელის—მოსიყვარულე მეგობრებისაგან". თურმე იმ დღეს ასაფლავებდნენ წინა დღის მსხვერპლთ იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტს თავად გიორგი ვაჩნაძეს და მისს მეუღლეს კნეინა ლელის (ეკატერინეს), ივანე ჯორჯაძის ასულს.

გამოასვენეს ორი, ყვავილებითა და ვარდებით შემკული, კუბო და პროცესია ნიკოლოზის ეკლესიისაკენ გაემართა. საშინელ სურათს წარმოადგენდა ნახვა მგლოვიარეთა გარდაცვალებულის ქალის დედ-მამისა. დაჰკარგეს თავისი საყვარელი შვილი და ერთად-ერთი სრული ობოლი სიძე.

გიორგი ვაჩნაძე იყო, ბაკურციხის ღარიბ მემამულეს შვილი. დაიბადა 1878 წელსა. პირველად სწავლა მიიღო ტფილისის მეორე გიმნაზიაში, 1900 წელს ოდესის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზედ შევიდა. ამ უნივერსიტეტის არეულობაში ესეც ერია და ამის შემდეგ იძულებული იყო ამ უნივერსიტეტისათვის თავი გაენებებინა და 1901 წელს შევიდა მეორე კურსზედ კიევის უნივერსიტეტში. ამ წელს აქ დიდი აჯანყება მოხდა და ეს უნივერსიტეტი დროებით დაიხურა. ამ აჯანყების მოთავეები ბევრნი გაგზავნეს სამხედრო სამსახურში, ხელმწიფის განკარგულებით. ამ გაგზავნილებში მოჰყვნენ გიორგი ვაჩნაძე და მკათათვეში, თბილისში მოკლული ლენკო ხერხეულიძე, რომელმაც პოლიცმეისტერ კოვალიოვს ყუმბარა ესროლა. 1902 წელს მანიფესტის ძალით აპატიეს ამათ, სამხედრო სამსახურიდგან გაანთავისუფლეს და მიიღეს ვაჩნაძე—იურიევისა და ხერხეულიძე—ყაზანის უნივერსიტეტში. შარშან ვაჩნაძემ ამ უნივერსიტეტში სწავლა დაამთავრა. ჯერ ისევ მესამე კურსზე იყო, ცოლი შეირთო, შარშან ჩამოვიდა სწავლა დამთავრებული და ცხოვრების ასპარეზზე უნდა გამოსულიყო. იგი იყო გამსჭვალული სიყვარულით თავისი ხალხისა და თავისი ქვეყნისა. მეუღლეც მისი, ლელი, განათლებული ქალი იყო, ყველასფერში თავის მეუღლის თანამგრძნობი.

23, დილით, დუქნები გაიღო.

26-ს ნაშუადღევის 5 საათიდან დახოცილების პატივსაცემლად ქალაქმა ყოველგვარი მუშაობა მოსპო, და შავი ძაძა ჩაიცვა. არამც თუ ქალაქს, ზოგი ერთ სახლის პატრონსაც კი სანთლები არ აუნთია. გაზეთებიც არ გამოვიდა. 27-დან ქალაქი კვლავ გაცოცხლდა. ამავე დღეს რკინის გზის მატარებლებმა მიმოსვლა დაიწყეს. მხოლოდ დასავლეთისკენ მთელი გზის ლიანდაგი გაფუჭებული ყოფილა.

ერგნელი.

კრება გურიის შესახებ

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანმა დღეს, შუადღის 12 საათისათვის, მოიწვია ტფილისის რამდენიმე დაწესებულებისა და პრესსის წარმომადგენელნი გურიის დღევანდელ მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლად. თუმცა ეს კრება დღეისთვის იყო დანიშნული, მაგრამ ხალხმა ვეღარ მოითმინა და გუშინვე მოითხოვა კრების მოხდენა. მარშალს კაცი გაუგზავნეს, უთუოდ მოდიო, რადგანაც გურიის გარს ჯარი ახვევია, კიდევ მრავალი იგზავნება და შესაძლებელია, მთელი მხარე გაანადგურონ და მიწასთან გაასწორონო. თავ. ორბელიანი დაუყოვნებლივ გამოცხადდა, სიხარულით მიეგება ხალხის სურვილს და კრება დაიწყო. საკრებულოს დარბაზი მთლად გაიჭედა. მათ შორის იყვნენ წარმომადგენელნი სამღვდელოებისა, გურიისა, სამეგრელოსი, ქუთაისისა და სხვ. ერთმა ორატორმა სთქვა: გურია ძალიან გაჭირვებულია; გარს ჯარი ახვევია. დაწერილებითა და დარწმუნებით არა ვიცით-რა, მხოლოდ ცუდი ამბები მოგვდის; ამასვე გადმოგვცემს აგრეთვე დეპეშებიც. მოცდა აღარ შეიძლება. დღესაც გაჰგზავნეს ორი პოლკი; უნდა ვიღონოთ რამე, რომ ეს ჯარი უკანვე დავაბრუნებინოთ. ვთხოვ საზოგადოებას დეპუტაცია გავუგზავნოთ ნამესტნიკს და ვთხოვოთ, ჯარი უკანვე დააბრუნოს და ყოველი ღონისძიება მივიღოთ გურიის დასამშვიდებლად.

ამ წინადადებას ბევრი ორატორი დაეთანხმა და შემდეგი დაუმატეს: სთხოვონ აგრეთვე სულთან-კრიმ-გირეის, მალამასა და ვიტტეს, რომ ამ საქმეში დახმარება აღმოუჩინონ. ერთმა ორატორმა სთქვა: უთუოდ სულთან-კრიმ-გირეი უნდა იქმნეს იქ გაგზავნილი და საქმეს მხოლოდ ის გააკეთებს ჩვენის დეპუტაციის დახმარებითაო. ზოგმა განაცხადა, დეპუტაციით ვერას გავხდებით, პირდაპირ აშკარად შევატყობინოთ ნამესტნიკს, რომ, თუ იქიდან ჯარს არ გამოიყვანს, ჩვენ და სულ ყველანი იარაღით წავალთ და ჩვენს სისხლსაც იქ დავღვრითო. „უნდა მოვიმხროთ,—სთქვა ერთმა ორატორთაგანმა,—ყველა წარმომადგენელი სხვადასხვა ქალაქებისა და დაწესებულებისაა, რომ ისინი ამ საქმეში ბეჯითად დაგვეხმარნენ იმ დრომდის მაინც, ვიდრე მომავალი პარლამენტი გამოარკვევდეს, თუ რა უნდა მიენიჭოს ყოველ ცალკე კუთხეს რუსეთისას და მთელს სახელმწიფოს. კიდევ დაუმატეს აგრედვე, რომ, თუ ნამესტნიკმა არ შეიწყნარა დეპუტაციის თხოვნა, მაშინ მიმართონ ვიტტეს და თვით ხელმწიფეს. ხანგრძლივის კამათის შემდეგ, ამორჩეულ იქმნა დეპუტაცია შემდეგის პირებისაგან: ტფილისის გუბერნიის მარშლის მაგიერი თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგი (ახლად დანიშნული), ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ე. ნ. ჩერქეზიშვილი, თ. ვ. ს. მიქელაძე, უგან. თავ. მ. ა. გრუზინსკი, თავ. ვ. გ. მაჩაბელი, გურიის თავადები პეტრე და ალექსანდრე ერისთავები და დ. ზ. სარაჯიშვილი. ეს დეპუტაცია დღეს, 29 ოქტომბერს, წარუდგება ნამესტნიკს და წარუდგენს თავისს შუამდგომლობას.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ოდესა, 27 ოქტ. ჯარსა და ხალხს შორის მომხდარ უკანასკნელ შეტაკების დროს დახოცილთა რიცხვი ჯერ-ჯერობით 1,2001-მდეა, ხოლო დაჭრილია 3,000 კაცზე მეტი. ქალაქი შიშის ზარმა შეიპყრო. ვისაც კი შეუძლიან და რამე გააჩნია, ყველაფერსა სტოვებს და საზღვარგარედ გარბის. ჯარმა და კაზაკებმა ქალაქის მრავალი ალაგი აიკლეს.

ახალი ამბავი

ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ ის **ამბავი, ვითომ გურულების წინააღმდეგ რეპრესიული ზომები მიღებული ყოფილიყოს, მართალი არ არის**. ხალხის დასამშვიდებლად გურიაში გუბერნატორი სტაროსელსკი წასულა.

◆ ტფილისის გენერალ-გუბერნატორი ქილიაი სწერს ქალაქის მოურავს: ტფილისში სამხედრო წესებია შემოღებული და, მაშასადამე, ზრუნვა ჯარზე ჩემთვის პირველ საგანს შეადგენს. ამიტომ წინადადებას გაძლევთ, რომ 1) **ჩქარა იშოვოთ შენობა** განჯის პოლკის დასაბინავებლად, რომელიც ამჟამად ვერაზე ლაგერად სდგას; 2) განკარგულება მოახდინოთ, რომ ტფილისის ქუჩებზე მუშაობა ძალიან ჩქარა დასრულდეს და ყოველი უმთავრესი ქუჩა რიგიანად იყოს მოკირწყლული, რათა ჯარს მუდამ თავისუფლად შეეძლოს მოძრაობა. მე მგონია, თქვენ კარგად გესმით ჩემი მოვალეობა, რასაც შეადგენს ზრუნვა იმის შესახებ, რომ ჯარს თავისუფლად შეეძლოს ქუჩებზე მოძრაობა და ნება არ მივცე არავის ქუჩებზე ბარიკადების გამართვისა. დასასრულ, გენ.-გუბერნატორი სწერს, სასტიკად გიკრძალავ ჩემ, ნებადაურთველად რომელსამე ქუჩებზე გზების შეკვრასო.

◆ სასტუმრო „პურ-ღვინოს" პატრონს იაგორ მამინაიშვილს 12,000 მანათამდე ზარალი მოსვლია; **ჯარსა და კაზაკებს ყველაფერი წაუღიათ**, რაც წასაღები იყო, და დაუმტვრევიათ. ლაქიებისა და მოსამსახურეების ფულიანი ყულაბები დაუტაცნიათ. საცვლებიც კი სულ ერთიანად წაუღიათ.

◆ როგორც გამოირკვა, პირველ გიმნაზიის დარბევის დროს სრულიად გაუნადგურებიათ **გიმნაზიის ბიბლიოთეკა და ფიზიკური კაბინეტი**. წიგნები გაფანტულია, დაგლეჯილი, სისხლში შესვრილი, შკაფები დამსხვრეულია, ნივთეულობა გაფუჭებული და წაღებულია.

◆ მას შემდეგ, რაც ტფილისის საკრებულოში ჯარები დააბანაკეს, ვიღაც უცნობებს გაუტეხიათ „ექსელანს"-ის ტანისამოსის მაღაზია და აუარებელი საქონელი წაუღიათ. გაუტეხიათ აგრედვე რკინის კასსა, რომლიდანაც რამდენიმე ასი მანათი წაუღიათ.

◆ რადგან ზამთარი მოახლოვებულია და გარედ, ცის ქვეშ, **კრებებისა და მიტინგების** გამართვა შეუძლებელია, ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას გადაუწყვეტია, აირჩიოს სადმე შენობა. ერთი ასეთი კრება, ადმინისტრაციის ნებართვით, ჩქარა მოჰხდება. პარტიას აზრად აქვს, შემდეგისათვის ტფილისში შეიძინოს სამი საკუთარი კლუბი ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში. ერთი კლუბი იქმნება ნაძალადევსა, მეორე ავლაბარსა და მესამე ქალაქის შუა ადგილში.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე თუმცა მოძრაობა დაიწყო მაგრამ ნორმალურ კალაპოტში კი არ ჩამდგარა. 27 ოქტ. საღამოს 5 ს., როდესაც საქონლის მატარებელი ტფილისიდან გავიდა, საჰკლიდან მესამე ვერსზე ორთქლმავალი მიწაში ჩაიფლო და ვაგონები დაიმტვრა. როგორც ამბობენ, **ვიღაცეებს ლიანდაგი აუყრიათ**.

◆ **ტფილისის პედაგოგებმა** იმ მოთხოვნილებათ, რომელიც უკვე გვქონდა აღნიშნული, დაუმატეს, რომ მასწავლებელთა თანადასწრებით გამორკვეულ იყოს, როგორც 21 ოქტომბრის ინციდენტი მოსწავლეთა შეურაცხყოფის შესახებ, აგრედვე 22 ოქტომბრის სისხლის ღვრის ამბავი.

◆ **რკინის გზის მატარებელთა მოძრაობა დაიწყო** და ტფილისში მცხოვრებნი მრავლად მიდიან სხვადასხვა ადგილებში. ამ ორ დღეებში თავ-თავიანთ სახლებში მატარებლით დიდძალი მოსწავლეები გაემგზავრნენ. ტფილისის მუდმივი მცხოვრებნიც ბლომად წავიდნენ კავკასიის იმ ადგილებში, სადაც მოძრაობა ძალიან არ არის.

ფელეტონი

უკანასკნელი ზვირთი

მილოცვ-მოლოცვა, პირზე ღიმილი, ვაშა და ტაში, გაუმარჯოს თავისუფლებას! აი, რა ახმაურებდა ტფილისის ქუჩებს ერთის კვირის განმავლობაში. ჩვენ გვეგონა... არა, ჩვენ არკი გვეგონა, ჩვენ ნამდვილად დავიჯერეთ, სიტყვა დავუჯერეთ დეპეშებს... ვერწმუნეთ... რომ ამიერიდან შეგვეძლო გარედ გამოსვლა, შინ მშვიდად ძილი, რომ დაიდო საზღვარი პირუტყვებსა და ჩვენს შორის, რომ შეგვეძლო ენა დაგვეტოკებინა, გვეტირნა სატირელზე, გვეფიქრა საქმეზე, წავსულიყავით წინ, უფრო წინ...

მაგრამ ჩვენ ისე ვერ გავიგეთ „თავისუფლება", როგორც თურმე მის მალიარებელთ სურვებიათ, რომ გაგვეგო. თავისუფლება მათრახისა, თავისუფლება ხიშტებისა, თავისუფალი ძარცვა, თავისუფალი მტარვალობა, თავისუფლად სისხლის ღვრა...

აი, თურმე, რას ნიშნავდა ეს თავისუფლება, აი, თურმე, რა ყოფილა ჩვენი სიხარული. ჩვენი ვაშა, ჩვენი ტაში.

ჩვენ ვეგებებოდით ჩვენის სისხლის დაღვრას, ჩვენ ვდღესასწაულობდით თურმე ჩვენი ქუჩების ჩვენისავე სისხლით წითლად შეღებვას, ჩვენის მეგობრების კუბოებს, მშობლის ქვითინს განგმირულ შვილის გვამზე, ოჯახის კვნესას დაობლებულს კერაზე! მოქალაქენო, ჩვენ თურმე ვდღესასწაულობდით სხვისა და არა ჩვენს თავისუფლებას. ჩვენ თურმე ვდღესასწაულობდით გველის ნესტარის სისინს ჩვენს მკერდზე, რომ უფრო თავისუფლად, უფრო გესლიანად დაეშხამა მას ჩვენი გული!

დიახ, ჩვენ ავფორიაქდით, ჩვენ ავყიჟინდით ღრუბლებ შორის მოციმციმე მზის სხივის დანახვაზე, მაგრამ ის ვერ დავინახეთ, თუ რა მოსდევდა ამ სხივს. ჩვენ არ ველოდით, რომ ეს პაწია სხივი ასე მალე წითლად შეიღებებოდა. პაწია სხივი მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მხოლოდ განთიადს ამოსდევს თან წითელი შარავანდედი, და განთიადამდე კი ჯერ შორს იყო.

დიახ, ცისკარზე ჩამოგვეკრა გლოვის ზარი და განთიადზე კი უფრო მეტს უნდა ველოდეთ. ველოდეთ, მაგრამ არა გულ-ხელ-დაკრეფით, არა ტირილით, ვაის მოთქმით უდროვო კუბოების წინ, არამედ გულში ჩაუქრობლის იმედით, თავგანსაწირავად მომზადებით.

დიახ, იქუხებს!.. სამშობლოს ცაზე
უკვე ირევა შავი ღრუბელი,
და განთიადზე შეიღებება
წითლად მთის წვერი, ქალა და ველი.
დიახ, იქუხებს, და ქარიშხალი
უკვე გუგუნებს შეუდრეკელი;
შენც, მეზღვაურო, მოუსვი საჭეს
და მოიქნიე გმირულად ხელი!
ტალღა ტალღას სცემს, აფრა ფრიალებს,
ღრიალებს ზვირთი—მძვინვარე ლომი,
აჰა, იწყება სიკვდილ-სიცოცხლის
გადასაწყვეტი ბრძოლა და ომი!
მაგრამ მოუსვი საჭეს თამამად,
აქ არის შენი ხსნა და იმედი,
უკანასკნელს ზვირთს ნავთსადგურისკენ
მიაქვს ხომალდი და შენი ბედი!
უკანასკნელ ზვირთს, უკანასკნელ ზვირთს!
მიჰყევი მედგრად, მოუსვი მკლავი,
აქ გადასწყდება... და განთიადზე
ამართავს დროშას თამამი ნავი!

ი. ევდოშვილი.

* * *

გაუმარჯოს თავისუფლებას!

(ჩემის დღიურიდან)

ეს მოხდა გუშინ-წინ.

ჯერ ისევ მონა ვიყავ, მონა უუფლებო, მონა საპყარი.

თვალს ვახელდი, მაგრამ არაფრის დანახვის ნება არა მქონდა.

ვფიქრობდი, მაგრამ თქმა კი არასი შემეძლო.

ვგრძნობდი, მაგრამ ჩემი გრძნობა ჩემ გულშივე უნდა ჩამეკლა.

ადამიანი მერქვა, მაგრამ მონათა შორის მცხოვრები უსიხარულოდ ვლევდი დღეებს, უსიამოვნოდ ვატარებდი დროს.

სიკვდილი სირცხვილეული, სიკვდილი უსახელო და გამანადგურებელი, ამოღებულის ხმლით დარაჯად დასდგომოდა ჩემის ბინის კარებს და შეშინებული ლოკოკინასავით ერთ ადგილას მობლუნძული ვეგდე.

მზე კაშკაშებდა. გაზრწყინვებული ბუნება ღიმილით სასეირნოდ მიწვევდა, მაგრამ ვერსად წავსულვიყავ.

ჩემის ბატონების მეოხებით მზე და მთვარე, ჰაერი და წყალი, ცრემლი და სიცილი, გრძნობა და გონება, მეგობარი და ნაცნობი—ჩემთვის მარტოოდენ მოჩვენებანი იყვნენ, მარტოოდენ ჩემსავე საქეჯნად გაჩენილიყვნენ.

— ფეხი არსად გადგა,—დაგატუსაღებო!—მაგრძნობინებდა ქუჩის კუთხეში ჩასაფრებული პოლიციელი.

— არა სთქვა რა, დაგაბეზღებო!—მეუბნებოდნენ ჯაშუშის თვალები.

— ჩემსას ნუ მოხვალ, შენის გულისათვის არ მინდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ჩავვარდეო!—მიშორებდა ნაცნობი.

— მეც შენ ტაფაში ვიწვიო!—მეუბნებოდა მეგობარი, თან შეშინებულ-დამფრთხალი აქეთ-იქით იყურებოდა.

მეც ვეგდე ერთ ადგილას და, დამცირებული, ჩემსავე თავს ვეჩხუბებოდი.

ვით ფრთებ მომტვრეული ქილყვავი, ვით სოროში გამომწყვდეული კურდღლის ბაჭია, ვით ნაცემ-ნაგვემი ყველიპარია კატა,—ერთ ადგილას მოკალათებული ვხავხავებდი!

ერთი თანამიგრძნობდა, ბევრი თვალს მარიდებდა, ბევრზე ბევრი კი მიდარაჯებდა. ხმა-მაღლა არ დაჰგმოს შემქმნელი აუტანელის ცხოვრებისაო.

პრისტავი და გოროდოვოი, ჯაშუში და დვორნიკი, კაზაკი და ჯარის კაცივით გეზელ-ქორნი ღობის ძირას განაბულ ნიბლიას—თავს დამტრიალებდნენ და შიშის ზარსა მცემდნენ.

გული ბოღმითა მქონდა სავსე, თუმცა ვილიმებოდი, ვით ბეყური, ვითომ ვმხიარულობდი კიდეც, ვით მაყრიონი, ვწერდი კიდეც, ვით მეგაზეთე, სალამს ვაძლევდი მეორეს, ვით წევრი საზოგადოებისა, მაგრამ ყველა ეს ნაძალადევი, ნაძალადევი იყო.

ცოცხალი მონა მკვდრებზე უბედურია. ვინც მოკვდა თავს მაინც მოუკვდა. მე კი ცოცხალი ცოცხალთა შორის სიკვდილსაც გავურბოდი და ვერც სულის სიმშვიდეს ვპოულობდი.

ვიჯექ გულმოკლული და გავყურებდი ქუჩას.

აქა იქ ფეხ-აკრეფით მიმოდიოდა დამფრთხალი, დაშინებული, ჩაფერფლილი, დაღვრემილი, ადამიანის ნიშან-წყალ მოკლებული ხალხი.

ქუჩის თავსა და ბოლოს გამოჭიმულიყვნენ შეიარაღებული კაზაკები. თოფები მხარზე გაედოთ, თითქოს ტყეში არიანო, ხანჯალი მოემარჯვებინათ, ხმალი გაელესათ. სახეზე მხეცური გამომეტყველება აღბეჭდოდათ. იგინი ხალხს, მის რწმენა-მისწრაფებას დასცინოდნენ.

საზარელი სანახავნი იყვნენ! თვალები მტკიოდა, გული მიკვნესდა სული მეხუთებოდა.

— ღმერთო, ამოგვიარდეს სამართალი-მეთქი! გამწარებით წამოვიძახე ულიაჯომ და ტახტზე პირქვე დავემხე.

აუწერელია, გამოუხსნელებულ მონის ტანჯვა!

დიდხანს მოვსთქვამდი ხალხის მტარვალთა უსინდისობას.

—

უცბად სიმღერა შემომესმა. იგი ჩვეულებრივი სიმღერა არ იყო, არც ყოველდღიურ სიმღერასა ჰგავნდა. ზავთიანი და დიდებული შავარდენივით აპობდა ჰაერს.

— „დავამხოთ ძველი წესები"—არაკრაკებდა ვიღაცას მშვენიერი ხმა.

— „დავლეწოთ ოქროს კერპები"—ბანს აძლევდა მეორე.

— „ხალხი აღსდგა, ხალხი წელში გაიმართა"—გუგუნებდა, ვით იერიქონის საყვირი ათასი გულიდან ამოხეთქილი ბანიც. ყური წავუგდე. ეს ხმა მომეჩვენა ერთის ჩემის ამხანაგის ხმად. იმას უყვარდა ასეთი სიმღერა და მოჰკლეს სწორედ იმ დროს, როდესაც ციხის გამხეცებულ მცველებს თავისუფლების სიმღერას უგალობდა.

ეტყობა თვით სიმღერა ვერ მოუკლავთ!

თვალები მოვიფშვნიტე, გარედ გამოვიხედე.

კაზაკები თავის ადგილას აღარ იდგნენ, მათ მაგიერ ქუჩაზე მოგორავდა ხალხის ტალღა. ათასი, ათი ათასი ქალი და კაცი, შეკრებილიყო, აეფრიალებინათ წითელი დროშები და ეს ამოდენა ხალხი მღეროდა თავ-დავიწყებით, მღეროდა მთელის თავის დაჩაგრულის არსებით, მღეროდა გატაცებით და მთელის წლობით დაგუბებულ ბოღმას იქარვებდა.

ჩემი თავი სიზმარში მეგონა. —ბიჭო, ია, თავისუფლება! თავისუფლება! ხალხი აღსდგა, დაამსხვრია ბორკილი მონობისა... გამოდი გარედ!—დამძახა ერთმა ჩემმა ამხანაგთაგანმა და გადამკოცნა. თვალთაგან ცრემლი ჩამოსდიოდა, მეტის სიხარულით მხოლოდღა ლუღლუღებდა.

პირველმა ამბორმა თავისუფალის ადამიანისამ მეც ფრთები შემასხა, ჯადოსნურის ძალით გადამახალისა და მერცხალივით გარედ გამოვფრინდი.

ოხ, რა კარგი ყოფილა თავისუფლება! ჩემ გონებას, ჩემ ოცნებას თურმე ნახევრადაც ვერ წარმოედგინა მისი სიდიადე!

როგორც შვლის ნუკრი, ისე დავხტოდი ქუჩაზე, როგორც განკურნებული სნეული, ისე ვისუნთქავდი თავისუფლების ჰაერს, როგორც საგიჟეთიდან განთავისუფლებული გონიერი ადამიანი განცვიფრებული ვიყავ და ახლად ენა ადგმულ ბავშვივით ვტიკტიკებდი.

— ძლივს არ ვეღირსეთ თავისუფლებას! ხომ თავისუფლებით ვარ, ჰა?—ვეკითხებოდი ქალსა და კაცს, ნაცნობს და უცნობს. ჩემს დღეში სიმღერისა არა ვიცი რა, მაგრამ ვმღეროდი კიდეც!

— სად არიან ჯაშუშები, პოლიციელები, ჟანდარმები, კაზაკები, დვორნიკები! სად არიან, სად ჩვენი გამათახსირებელნი, ჩვენი დამამცირებელნი, ჩვენი გამრყვნელები, ჩვენი გამხრწნელები, ჩვენი სულთამხუთავები, ჩვენი გამამხეცებელნი, ჩვენი დამმონავებელნი?!—ვეკითხებოდი ყველას.

— განთავისუფლებულმა ხალხმა სული შეუბერა მათ და აღგავა პირისაგან ქვეყანისა. ხალხის გმირულმა და უკანასკნელმა ამოკვნესამ გაანადგურა ისინი!—ამაყად მიპასუხა ერთმა და ამაყადვე შემოსძახა.

— „დავამხოთ ოქროს კერპები"!

— დავამხოთ! დაიგრიალა ხალხმაც და ეს გუგუნი თავისუფალის ხალხისა მრავალ დროების მოწმე მამადავითის მთაზე ახარხარდა.

ეს იყო გუშინ!..

ორი დღე გონებაზე არ მოვსულვარ. ორი დღე ვცხოვრობდი უანგარიშოდ, უდარდელად, უზრუნველად. გარედ ბუმბულივით დავქროდი, შინ კი დაუსრულებლად ვკოცნიდი ჩვენ ბავშვებს. ვეალერსებოდი, ვეტიკტიკებოდი. ისინი გაიზარდნენ ჩემს თვალში, ფასი ერთი ათად და ოცად მომემატათ. ხუმრობაა!! თავისუფალი ბავშვი, მომავალი თავისუფალი მოქალაქე თავისუფალის ერისა!..

სიმღერა კვლავ გუგუნებდა ქუჩებში, ხალხი კვლავ ერთად იკრიბებოდა და ბედნიერ ცხოვრების კარებს აღებდა. მზეც იცინოდა. ჩემს დღეში ასე არ მომწყურებია სიცოცხლე დაუს-

ეროვნული

✦ მეტეხის ციხიდან თითქმის ყოველდღე ანთავისუფლებენ **პოლიტიკურ დამნაშავეებს.** ამ ჟამად იქ მხოლოდ ოცამდე კაცია, რომელთაც ტერორისტობა ბრალდებათ.

✦ როგორც ხმა დადის, **ბათუმში** ზღვის მხრიდან **ჯარი მოუყვანიათ** მთელის თავისის ზარბაზნებით.

✦ **ბათუმიდან დაწყებული სუფსამდე ლიანდაგი შეკეთებულია.** სუფსიდან საჯავახოს სადგურამდე ლიანდაგი მთლად წამხდარია. ყველგან ჯარი მუშაობს, ფოთსა და სამტრედიას შუა ლიანდაგიც და ტელეგრაფიც შეკეთებულია.

✦ ცნობები მოვიდა, რომ როსტოვში ადგილობრივ ციხეში **ზის 50 ქართველი,** რომლებიც გორის მაზრიდან 28 სექტემბერს რუსეთში გაგზავნეს. დატუსაღებულთ კავკასიის ნამესტნიკს დეპეშით თხოვნა გამოუგზავნეს, გამოქვეყნებულ ამნისტიის ძალით, ჩვენც გაგვანთავისუფლეთო.

✦ როგორც ქუთაისიდგან გვატყობინებენ, სამტრედიამდე ლიანდაგი შეკეთებულია. აგრეთვე შეკეთებულია ტელეგრაფიც; მატარებლების მიმოსვლა შეიძლება, მაგრამ **სამტრედიაში სამსახურის ასასრულებლად ჯერ არც ერთი მოსამსახურე არ გამოსულა.** შორაპნიდან დაწყებული ქიათურამდე ლიანდაგი წამხდარი არ არის, მხოლოდ სატელეგრაფო მართულებია დაწყვეტილი და წყლის მილია გაფუჭებული. 28 ოქტომბერს პირველად გავა სახალხო მატარებელი ქიათურაში.

✦ გუშინდლიდან ტფილისის ქუჩებში ფარნები აღარ ინთება, რადგან ქალაქს **ნავთი** აღარა აქვს.

✦ მთავრობის განკარგულებით, დაიბეჭდა რამდენიმე ათასი ცალი 17 ოქტომბრის **მანიფესტისა და** კავკასიის ნამესტნიკის მოწოდებისა და სამაზრო ადმინისტრაციებს დაეგზავნა მცხოვრებთა შორის გასავრცელებლად.

✦ გუშინ, 28 ოქტომბერს, სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოში დაიწყო კრება **გურიის ამბების შესახებ.**

✦ **განჯიდან** გვატყობინებენ: **ხალხის კრებებმა და მიტინგებმა აქ უსისხლოდ ჩაიარა.** რამდენიმე ათასმა კაცმა მიტინგზე მოითხოვა პოლიტიკურ დამნაშავეების განთავისუფლება ციხიდან, საიდანაც მართლაც გაანთავისუფლეს რამდენიმე კაცი. რამდენიმე ჯაშუში წარსდგა ხალხის წინაშე და ძველი ცოდვები შეინანა. კრებები თითქმის ყოველ დღე იმართება რკინის გზის თეატრში. გაფიცვა დასრულდა.

✦ გუშინ, 28 ოქტომბერს, სამხედრო სობოროში პანაშვიდი გადაუხადეს და შემდეგ კახეთში წაასვენეს **გენერალ-ადიუტანტი თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე.**

✦ **პეტერბურგში ჩასულა ბევრი კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები;** ყველა ამათ საუბარი აქვთ ვიტტესთან; მისულა სტრუვე, პლეხანოვი ავად გახდა, მაგრამ მისვლას მაინც აპირობს, ელიან პოსსეს, „ჟიზნის“ რედაქტორს. ვიტტეს წინააღმდეგ აგიტაცია ძლიერდება. 18 ოქტომბერს მოკლულთა საფლავი კავკასიის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა შეამკო გვირგვინით, შემდეგის ზედ-წარწერით: „მებრძოლთა ძვლებზე აღსდგება შურის მაძიებელი“.

✦ „ვოზროჟდ.“-ს **პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ:** „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს, სხვათა შორის, დაევალება მინისტრების არჩევნები. ფინლანდიამ სრული კმაყოფილება მიიღო და დამშვიდდა, საერთო გაფიცვა შესწყდა, გენერალ-გუბერნატორობა უქმდება, მოსკოვის ქალაქის გამგეობა გოლიცინთან ერთად სამსახურიდან გადადგა. კავშირთა-კავშირმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომლითაც სრულ ამნისტიას თხოულობენ. ამ დღეებში ელიან „ოსვობოჟდენიეს“ რედაქტორს—სტრუვეს. ყველა გაზეთები თხოულობენ 18 და 19 ოქტომბერს მსროლელ აფიცრების გასამართლებას. მუშათა არჩევნები შემდეგ გვარად მოხდება: ასი მუშა აირჩევს ერთ ამომრჩეველს, ამომრჩევლები შეიკრიბებიან პეტერბურგში და 20 დეპუტატს აირჩევენ. დანარჩენებისთვის ცენზია—1200 მან წლიური ჯამაგირი, 480 მან.—სადგომის წლიური ქირა.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭომ შემდეგის მოწოდებით გადასწყვიტა მიმართოს მოქალაქეთ: მოქალაქენო! „1905 წლის, 17 ოქტომბრის საისტორიო დღე, როდესაც გამოცხადდა დიდებული აქტი მოქალაქობრივ თავისუფლების შეურყეველ საფუძველთა, რომლითაც აღიარებულ იქმნა ჭეშმარიტი ხელუხლებლობა პიროვნებისა, თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, პრესსისა, კრებისა და კავშირებისა, და რომლის ძალითაც საკანონმდებლო უფლება ხალხის წარმომადგენელთა ხელში გადავიდა,—ეს დიდებული დღე მგლოვიარების ძაძით შემოსა 22 ოქტომბრის უსაშინლესმა სისხლის ღვრამ, რომელმაც უხვად გაასოხიერა ტფილისის ქუჩები.

რათა ხელმეორედ აღარ განმეორდეს ამისთანა სისასტიკე და საშინელებანი და რათა მომავალში თავიდან ავიცდინოთ ყოველ წუთს მოსალოდნელი უბედურებანი, რაიცა ადვილად შესაძლოა გამოიწვიოს ქუჩებში წესრიგის სრულიად უმნიშვნელო დარღვევამ, ჩვენ, ხმოსანნი ტფილისის ქალაქის საბჭოსი, მივმართავთ ტფილისის საზოგადოების ყველა კლასებს მხურვალე თხოვნით, არ დაიშურონ არავითარი საშუალება და ღონისძიება, მოიკრიბონ მთელი თვისი ძალღონე, ვისაც კი რითი შეუძლიან, და შთააგონონ ერთმანეთს, რომ დამშვიდდნენ და დაწყნარდნენ. ამჟამად ყველას თავისუფლად შეუძლიან შეუდგეს ფართო საზოგადოებრივ მუშაობას, თუ კი ვისმე სურვილი აქვს ამნაირ მეცადინეობისა და ვისთვისაც ნამდვილად ძვირფასია ხალხის ინტერესები. მოქალაქენო! ახლა ჩვენს წინ გადაშლილია ფართო ასპარეზი საკონსტიტუციო თავისუფლების განსამტკიცებლად, და საჭიროა, რომ ყველა პროგრესიული პარტიები შეერთდნენ ჩვენის ცხოვრების მოსაწესრიგებლად. შევერთდეთ, შევკავშირდეთ და განვამტკიცოთ შეურყეველი უფლებანი ადამიანისა და მოქალაქისა.

მოქალაქენო! ჩვენ გთხოვთ ქალაქში მოქმედ ყველა პარტიებს, ორგანიზაციებს, ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს, კავშირებს, საზოგადოებათა და წოდებათა, ამოირჩიონ თავიანთ შორის წარმომადგენელნი და ჩვენთან ერთად შეუთანხმონ ერთმანეთს საზოგადოებრივ სხვადასხვა ჯგუფთა მოთხოვნილებანი და მომავალ მოქმედებისათვის საერთო პროგრამა შეიმუშაონ“.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის ნამესტნიკთან სადგურ ძეგვთან რკინის გზის მოსამსახურეთათვის „პოსიოლკის“ გასამართავად თავისუფალ სახელმწიფო მიწის დათმობის შესახებ.

✦ ქალაქის გამგეობამ აცნობა კავკასიის ნამესტნიკს, რომ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში განახლებულ იქნება სწავლა, თუ შემოღებული იქმნება ისეთივე პროგრამა, როგორითაც სწავლა სწარმოებს ტფილისის სასწავლებლებში. ახალი პროგრამა, სხვათა შორის, დედა-ენაზე სწავლებას მოითხოვს.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობას დღემდე არ მიუღია ცნობები უწმინდეს სინოდისაგან სემინარიის უფასოდ მოსწავლე რუსებისა და ბერძნების რუსეთის სემინარიებში გადაყვანის შესახებ. შუამდგომლობა ეკსარხოსისაგან 8 ოქტომბერს გაიგზავნა.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზებით ჯარების გადამყვანი უფროსი პოლკოვნიკი ველიბაშური დაინიშნა ერევნის პოლკის უფროსად. მის მაგივრად დაინიშნა პოლკოვნიკი სტეპანოვიჩი.

✦ ხმა დადის, რუსულ დრამის ანტრეპრენიორი ა. ნ. კრუჩინინი თავს ანებებსო ანტრეპრიზას, რადგანაც ქალაქში დიდი შიშიანობაა და წარმოდგენებისათვის არავისა სცხელა, მით უფრო, რომ თავგასულ კაზაკებისაგან არც ერთის მოქალაქის სიცოცხლე უზრუნველ ყოფილი არ არის.

✦ გუშინწინ, 27 ოქტომბ. სამრევლო სკოლების სასოფლო საბჭოში ეპ. ევთიმეს თავმჯდომარეობით დაიწყო კრება სამრევლო სკოლებში ახალ პროგრამის შემოღების შესახებ. კრებას ამ საგანზე მოხსენდა დადგენილებანი მაზრის მეთვალყურეთ.

✦ დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის წევრად დაინიშნა.

✦ 15 ოქტომბრიდგან ამიერ კავკასიის რკინის გზის ყველა სადგურებზე დაგზავნეს ტელეგრაფის მცოდნე საპიორები. რკინის გზის სამმართველოს სატელეგრაფო ნაწილშიაც სალდათები მუშაობდნენ. გაფიცვის დროს რუსეთის სხვადასხვა რკინის გზებიდგან არც ერთი დეპეშა არ მოსულა.

✦ სოფ. არტისში (ერევნის გუბერნია) თათრებსა და სომხებს ხელახლა შეტაკება მოსვლიათ.

✦ ხმებაა, რომ სამეგრელო-ფოთისკენ რკინის გზის რელსები ბევრგან აყრილია და ხიდებიც ბევრგან გაფუჭებულია. ამბობენ, დ. ახალსენაკში მახლობელ სოფლებიდან თავმოყრილ დემონსტრატ-მეგრელებს ჯარსა და პოლიციასთან შეტაკება მოსვლიათ. მოკლულ-დაჭრილთა რიცხვი თურმე ბევრია.

✦ მამა-დავითის მოედანზე 24 ოქტომბერს მძიმედ დასჭრეს გოროდოვოი.

✦ ტფილისის საქალაქო სამხედრო საკრებულოში წელს კენჭისთვის გაიწვიეს 623 კაცი. მათ რიცხვში პირველ ხარისხის შეღავათი მიეცათ 73, მეორესი 36, მესამესი 20. უშეღავათო იყო 394; აქედგან გამოცხადდა კენჭისთვის 113, არ გამოცხადებულა 281 კაცი. ჯარის ნაწილებში ჩასარიცხად უნდა გამოცხადდნენ 6 ქრისტეშობისთვის.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე ყველა მატარებლების მიმოსვლა დაიწყო 26 ოქტომბერს შუადღის 12 საათზე. მხოლოდ ბათუმის მხრით მარტო ხაშურამდე მიდიან მატარებლები, რადგანაც ხაშურს იქით სრულიად არ არის ხიდები და ბევრს ადგილას ლიანდაგია წამხდარი. ტელეგრაფის მავთულებიც ადგ-ადგ გაწყვეტილია.

✦ ნოემბერში ქართული საოპერო წარმოდგენა გაიმართება. წარმოადგენენ „დემონს“.

✦ მომავალ დეკემბრიდან ტფილისში არსდება საღამოს კურსები, სადაც ქართველთა ჯგუფი, რომელიც ამ საქმის წინ გაძღოლას კისრულობს, უფასოდ მსურველს უჩვენებს ასწავლის ნოტებს (სოლფეჯიო), განუმარტავს ელემენტარულ თეორიას მუსიკისას და მიაწვდის ცნობებს მუსიკის ისტორიიდან. კურსების დამაარსებელთ ამით აზრად აქვთ საზოგადოდ მუსიკის ცოდნის გავრცელება ჩვენში და კერძოდ ახალგაზრდათა მომზადება იმ მომღერალთა გუნდის შესადგენად, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ხოლმე ქართულ საოპერო წარმოდგენებში.

✦ სამშაბათს, 2 ნოემბერს, კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლო განიხილავს საქმეს ოზურგეთის მაზრის სოფ. აცანას მცხოვრების ქანტურიშვილისას, რომელსაც მე-10 ე საპოლიციო უბნის ზედამხედველის ზბოროვსკის მოკვლა ჰბრალდება.

✦ სოღანლუღის გზაზე, მირზოევის მამულში მყოფ მედუქნე არშაკ სეხნიზოვს დასცემია შეიარაღებული კაცი, აუტეხიათ სროლა და წაუღიათ ბერდანის თოფი ტყვიებით. სროლის დროს დაუჭრიათ პოლიციის დარაჯი ემინოვი. თოფი წაურთმევიათ აგრეთვე საგუბერნიო ციხის ზედამხედველის პრეტიუჩენკოსათვის.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

27 ოქტომბერი.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 26. საბჭომ დააარსა კომიტეტი, რომელსაც აზრად აქვს პარტიები დაამშვიდოს და შეიმუშაოს მოწოდება მცხოვრებთა მიმართ. ქალაქში დღემდის მშვიდობიანობაა.

ბათუმი, 26. დახურულია ყველა სასწავლებელი, ბანკები, კონტორები და მაღაზიები. მოსული გემები დაუტვირთველად უკანვე მიდიან. შევიდა სამხედრო გემი „დონეც“.

ოდესსა, 26. მცხოვრები თანდათან მშვიდდებიან. ნავთსადგურში მუშაობას შეუდგნენ.

რეველი, 26. მუშათა კრებამ გარდასწყვიტა, ხვალ დილით მუშაობა დაიწყონ.

კოსტრომა, 26. 19 ოქტომბერს მომხდარ ამბის გამო გამოძიება დანიშნულია. გაანთავისუფლეს 5 პოლიტიკური დამნაშავე.

ეკატერინბურგი, 26. მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. ქალაქში მშვიდობიანობაა.

პეტერბურგი, 26. დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ხელმწიფის ბრძანებით დათხოვნილ იქმნა პეტერბურგის სამხედრო ოლქის და გვარდიის ჯარების უფროსის თანამდებობიდან. თავადი ხილკოვი სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა და გზათა მინისტრის თანამდებობიდან დათხოვნილ იქმნა.

ხერსონი, 25. ქალაქში მშვიდობიანობაა. გაანთავისუფლეს 47 პოლიტიკური დამნაშავე.

ჰელსინგფორსი, 26. ნიუ-სტადში გაფიცვები შესწყდა. სრული მშვიდობიანობაა. ქალაქი ბაირაღებითაა მორთული.

ლონდონი, 26. მრავალ-რიცხოვანმა მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ულოცავენ რუსის ხალხს მოპოვებულ თავისუფლებას. პეტერბურგში გაგზავნეს 20,000 გირ. სტერლინგი დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ.

ჰელსინგფორსი, 26. გაფიცვები ყველგან შესწყდა. 25 ოქტომბერს, მიტინგზე წაკითხულ იქმნა მანიფესტი და სეიმის მოწვევის ნებართვა. ხალხი დადიოდა ქუჩებში სიმღერითა და მუსიკით. ეროვნულ გვარდიისა და მუშების დელეგატებმა მოსთხოვეს სენატს საპოლიციო-სადარაჯო სამსახურის ასრულებისთვის 160,000 მარკა. სენატმა ეს ფული მისცა.

ვოლსკი, 26. საბჭოს საგანგებო სხდომაზე მოქალაქეთა მონაწილეობით არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს 20 ოქტომბერს მომხდარი ამბები.

ხარკოვი, 26. თავადი სვიატოპოლკ-მირსკი პეტერბურგს წავიდა.

მოსკოვი, 26. ქალაქის მოურავის არჩევნები ნოემბერშია დანიშნული. კანდიდატად ასახელებენ გუჩკოვს. ხვალ პეტერბურგს მიდიან უმაღლესს სასწავლებლების დელეგატები უნივერსიტეტების გახსნის შესახებ მოსალაპარაკებლად.

პარიზი, 26. პოლიტიკური წრეები იმ აზრისანი არიან, რომ რუსეთის ძლიერების დასაცავად საჭიროა უწესოებას მალე ბოლო მოეღოს. „დებრატეს“ აზრით, ყველა პატიოსანი ადამიანი უნდა სცდილობდეს მხარი დაუჭიროს რუსის ახალ მთავრობას.

პეტერბურგი. „ბირჟევ. ვედომ.“ ცნობებით, ტრეპოვი სამსახურიდან ამ დღეებში გადადგება. „რუს“-ის სიტყვით ტრეპოვი სასახლის კომენდანტათ დაინიშნება.

დონის-როსტოვი, 26. ქალაქის თვითმმართველობას აზრად აქვს 17 ოქტომბრის მანიფესტას გამო აპატიოს ღარიბთ ჯარიმები 50,000 მანათამდე და დააარსოს 5 პირველ-დაწყებითი სკოლა.

ლონდონი, 26. ინგლისში ებრაელები ძლიან აღშფოთებულნი არიან. რუსეთში ებრაელების დარბევით. სცდილობენ აიძულონ მთავრობა, რომ საქმეში ჩაერიოს. აგროვებენ ფულს დაზარალებულთათვის.

პეტერბურგი, 26. საზღვაო უწყების ბრძანებით, 1 ნოემბრიდან მოხელეებს მოუსპობთ სამხედრო დროის დამატებითი ჯამაგირები. იმ ოფიცრებს, რომლებიც ომის დროს ერთ ადგილიდან მეორეში გადასახლდეს, უკან დასაბრუნებლად გზის ხარჯი ერთი ორად მიეცემათ.

მარიინსკი, 26. მატარებლების მიმოსვლა ორივ მხარეს უკვე დაიწყეს. გაფიცვები მოისპო.

ქუთაისი, 26. რკინის გზის მოსამსახურეებმა მუშაობაზე თანხმობა განაცხადეს, თუ ტფილისის მუშები დაიწყებენ. ტფილისის მხრივ ტელეგრაფი ისევ ისე გაფუჭებულია. ოზურგეთის მაზრიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ მაზრის უფროსი და მომრიგებელ მოსამართლე პეკარსკი ტყვედ არიან წაყვანილნი და არა მოკლულნი.

კიევი, 26. საშუალო სასწავლებლებში სწავლა 1 ნოემბრიდან დაიწყება.

ვენა, 26. რუსეთში ებრაელების დარბევის შესახებ. გაზეთები ამბობენ, ამ გერმოლობას ამოფარებული აქვს კონტრ-რევოლუცია, რომელიც მთავრობას სჭირდება რუსეთის განთავისუფლების საქმის მოსასპობად, რომლისთვისაც პირველი ნაბიჯი გადადგმულა. ებრაელთა დარბევით მთავრობამ ლიბერალურ ინტელიგენციას თავგზა უნდა დაუბნიოსო. საქმეს სხვა გვარად უნდა შემოუარონ რევოლუციონერებმა, თორემ ეს კონტრ-რევოლუცია არ შეჩერდებაო.

პეტერბურგი, 26. გენერალი ტრეპოვი დათხოვნილ იქმნა გენერალ-გუბერნატორის, პეტერბურგში მყოფ ჯარების უფროსის, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის და ჟანდარმთა კორპუსის უფროსის თანამდებობიდან და დაინიშნა სასახლის კომენდანტად. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დაინიშნა გვარდიისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად. გენერალ-ლეიტენანტი გაზენკამპფი და გენერალი ზარუბაევი გვარდიისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწეებად. გენერალ-ლეიტენანტი გლაზოვი დაინიშნა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწედ.

ლონდონი, 26. გაზეთი „გლობი“ ამბობს, თუმცა რუსეთის ზოგიერთ ადგილებში უწესოებანი ჯერ ისევ ხდება, საერთო მდგომარეობა მაინც ამტკიცებს, რომ რუსეთი მალე დამშვიდდებაო. გრაფ ვიტტეს საჭიროა სახელმწიფო მოღვაწის მთელი გამბედაობა და მოხერხება, რომ ყველა დაბრკოლებას სძლიოს და ამ ძნელ საქმიდან გამარჯვებული გამოვიდეს. როგორც ეტყობა, მთავრობას მტკიცედ გარდაუწყვეტია, შეიტანოს რუსეთში ფართო სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური რეფორმები.

ბაქო, 27. ქალაქს სამხედრო შეხედულება აქვს. რუსები თხოულობენ, რომ სომხებს იარაღი ჩამოართვან და ქალაქიდან განდევნონ. პოლიციის ცნობებით, ყოველ სახლში, რომელიც გადასწვეს, იფეთქებდა ხოლმე ოცი-ორმოცი-ორმოცდაათი ყუმბარა.

პეტერბურგი, 26. აქ მშვიდობიანობაა. ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო.

კრონშტადტი, 27. გუშინ, საღამოს 6 საათზე, ქალაქში დიდი უწესოებანი დაიწყო. დღეს გაანადგურეს საზღვაო საკრებულო, გაძარცვეს და გადასწვეს ღვინის დუქნები. აჯანყებულთა ბრბომ, რომელშიაც მრავალი მატროსი ურევია, მცხოვრებთ თავ-ზარი დასცა. უწესოების მოსასპობად საზღვაო ეკიპაჟის სამღვდელოება შემოსილი ქუჩებში დადიოდა და ხალხს ამშვიდებდა. ორიენბაუმიდან გაიგზავნა ირკუტსკის პოლკის ორი ბატალიონი.

მოსკოვი, 27. ერობისა და ქალაქის მოღვაწეთა განზრახულ კრებაზე, რომელიც უნდა შესდგეს მოსკოვში ნოემბერს, განიხილავენ შემდეგ საკითხებს: 1) არჩევნების კანონის შესახებ, 2) პიროვნებისა, სინდისისა, სიტყვისა და პრესსის თავისუფლების დროებითი კანონების პროექტის შემუშავება, 3) რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ერობისა და ქალაქის მოღვაწეთა კრებას დღევანდელ მოძრაობასთან.

ტაშკენტი, 27. რკინის გზებზე გაფიცვა გათავდა.

სოფია, 27. ბულგარიის პრესსა [illegible] წერილებს ბეჭდავს რუსეთში რეფორმების შემოღების გამო. გაზეთი „ნოვ. ვეკ“-ი ამბობს: „ამდენ განსაცდელით და ძლიერი ბრძოლით დასუსტებული ჩვენი განმათავისუფლებელი ქვეყანა კვლავ აღორძინდებაო“.

რულებელი, თავისუფალი. მაგრამ გულმა კვლავ კვნესა დამიწყო.

— „დიდ სიხარულს, დიდი მწუხარებაც ხშირად მოსდევსო“. რაღაც ეშმაკად გამახსენდა ხალხის ნათქვამი და შავი ფიქრები ნისლივით შემომეპარა.

— ნუ თუ საუკუნოებით მონობაში მყოფ ქვეყნის შვილნი ისე უცბად გადახალისდნენ, ნუ თუ გუშინდელი პოლიციელი, გუშინდელი ჯაშუში, გუშინდელი კაზაკი, გუშინდელი ბატონი, გუშინდელი ხალხის დამბრიყვებელი დღეს გულგრილად უმზერს ხალხის დიდებასა-მეთქი? ვეკითხებოდი ჩემ თავს და ნაშთნი მონობისა ნელ-ნელა თვალ-წინ მეშლებოდა.

პირველ ყოვლისა ჩემ თავს ჩავუკვირდი, ჩემი მოვალეობა გავიხსენე და საგაზეთო წერილის დასაწერად კალამი მოვიმარჯვე.

— ახლა ხომ თავისუფალი ვარ. ცენზორი აღარ აჰკრელებს მეთქი ჩვენ ნაწერებს... მაშ ვწეროთ თავისუფლად! მაგრამ, თავისუფლად წერა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც თავისუფლებაში აღზრდილა, ვინც შესჩვევია ამ თავისუფლებას. მე კი გუშინ წინ გავნთავისუფლდი. ვერა გზით ვერ მოვიშორე თავიდან ცენზორი. ასე მეგონა ტვინში ჩამჯდომია და ჩემი ტვინის ძაფები ისევ ხელში უპყრია მეთქი.—გული მომივიდა კალამი გადავისროლე.

ვიჯექ მაგიდასთან და ახლა ჩემის ნაცნობების წარსულსა და მომავალს დავუკვირდი... არა, ჯერ დიდ ხანს შეგვრჩება ძველებური, მონობაში შეძენილი, თვისებანი: უკმეხობა, ბატონობისმოყვარეობა, მბრძანებლობა, უზრდელობა და თუ გნებავთ დესპოტობაც-კი. ტყუილად როდი გვწვრთიდნენ ჩვენი გუშინდელი ბატონები. მაგრამ როდესაც ჩვენ გულს გაათბობს თავისუფლების მარტო ერთი სხივი კი არა, არამედ მთელი სხივთა-კრებული, მაშინ ჩვენც სრული ადამიანები ვიქნებით მეთქი!—დავაიმედე ჩემი თავი, შავ ფიქრებს წამოვუდექ, გული გავიმხიარულე და ქუჩაში მიმავალ უცნობს ფანჯრიდან აღტაცებით გადავძახე.

— გაუმარჯოს თავისუფლებას!

უცნობმა შემოიმბღვირა, ფეხი აიჩქარა.

მეწყინა. გამიოცდა. რაღაც გამახსენდა. მაშინვე ქუდს ხელი წამოვავლე, გარედ გამოვარდი და მიმავალ კაცს ვუყელე. დავაცქერდი და ვიცანი! ის იყო ჩემი ჯაშუში... მთელის წლობით მოსვენებას არ მაძლევდა და უკანასკნელი სიამოვნებაც ჩამამწარა.

ჯაშუშმა კიდევ შემომიბღვირა და ქუჩაზე მდგარ ორ საეჭვო კაცს მიაშურა.

გული გადამიქანდა. მართალია ქუჩაში გუშინდელივით მხიარულად ირევოდა ხალხი, დიდებული გუგუნი კიდევ მოისმოდა, მაგრამ თითქოს რაღაც საიდუმლოება გადაჰფენოდა მთელ ქალაქს—გულსაკლავი, უხილავი საიდუმლოება! ხალხის მტრებს თავი მოეყარათ, გაღვიძებულ ხალხის განადგურებას აპირებდნენ.

უცბად იარაღის ჟღარუნი და ცხენების ოქარა-თქური მოისმა. ამას მოჰყვა ხალხის ყიჟინა, რაღაც გამოურკვეველი გმინვა და...

— თავისუფალ ხალხსა ჟლეტენ... თავს უშველე!—დამძახა ვიღაცამ და ჩემ წინ გაიშხლართა.

აღარა მახსოვს-რა. მხოლოდ ყურებში გამწივის თოფების დაუსრულებელი თქაფა-თქუფი, წყევლა-კრულვა და გმინვა მომაკვდავთა, ჯოჯოხეთური ხარხარ-კიჟინი ბნელ-ძალთა...

ხალხი, მოწაფენი, ქალი და კაცი, ხალხი თავისუფალი, მოღიმარი და მოცინარი გაჟლიტეს ბნელმა ძალებმა. ფეხ ქვეშ გათელეს ხელმწიფის **პატიოსანი სიტყვა,** თავისი ნათქვამი გადასთქვეს, ერთხელ კიდევ ინადირეს ხალხზე.

ეს მოხდა დღეს, 22 ოქტომბერს. ქალაქი მგლოვიარეა. ქალაქი, გმინავს, კვნესის, სახლებში ჩაიკეტა და ტირის.

იტირე ქალაქო! სწორედ ეგ ცრემლები წალეკავს მტარვალებს. ყველას გაწყვეტა ხომ არ შეუძლიანთ.

გასკდით გულზე, ხალხის მტრებო, ზედამრჩო მოიმკის ნაყოფს, ხოლო თქვენის უკანასკნელის ტყვიით განგმირული თავისუფალი ადამიანი ერთხელ მაინც დაიყვირებს: **გაუმარჯოს თავისუფლებას!**

ია ეკალაძე.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

24 ოქტომბერს ქარმა ნავთლუღისაკენ გაიტაცა **კარდონისაგან გაკეთებული ხის ჩარჩოიანი ფრიალა.** ფრიალას თეთრი მატერია აქვს გადაკრული და მავთულით აპპარატიც ზედვე აქვს მიმაგრებული. ვინც ამ ფრიალას თავისის პრიბორით, ან მარტო პრიბორს, წარუდგენს **ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიას** (მიხეილის ქუჩა, № 172), ჯილდოდ 10 მანათს მიიღებს. (2—2)

მიხეილის ქუჩაზე, შიმანსკის აფთიაქის გვერდზე

ისყიდება ბუფეტი

სახლის № 68. მსურველმა იქვე უნდა იკითხოს.

მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი.

ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანათზე აბაზი დაეთმობა.

საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“, ქაშვეთის ქ., სახლი არჯევანიძისა.

მისამართი: Книжный магазинъ „Цодна“. (20—2)

სკოლა და სახელოსნო
ჭრა-კერვისა და ხელ.საქმისა
გადავიდა
მამადავითის ქუჩაზე, გრიგორაშვილის სახლებში, ბაღის პირდაპირ, № 5.

ვიღებ ქალთა ტანისამოსს შესაკერად, ვიყვან შეგირდებს ჭრა-კერვის და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

სამკერვალოს გამგე ანნა მერკვილაძისა. (20—2)

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.

იყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში“ და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძესთან.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5.